FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
სამხრეთ კავკასია

HELSINKI CITIZENS ASSEMBLY

ISNC

სომხეთ-საქართველოს სამეზობლო: ექსპერტთა დიალოგი

სომხეთი და საქართველო: უსაფრთხოების გამოწვევები თუ გამოწვევები უსაფრთხოებისთვის 2022?

სტატიების კრებული

ანალიზი

უაკ 32(082)

გამომცემელი
ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასია
ჭოველიძის ქ. 6, თბილისი, საქართველო
ვებგვერდი: https://www.freiheit.org/south-caucasus
Facebook: https://www.facebook.com/FNFSC

ინგლისურ-ქართული მთარგმნელი
მარია პარი

სომხურ-ქართული მთარგმნელი
ასია დარბინიანი

რედაქტორი
ნათელა დუნდუა

წიგნის სტრუქტურა
არუსიაკ ოჰანიანი

შრიფტი
Calibri

კონტაქტი
ფოსტა: maia.kobaidze@freiheit.org, armen.grigoryan@freiheit.org,

გამოცემის წელი
2022 წელი

სომხეთ-საქართველოს სამეზობლო: ექსპერტთა დიალოგი - სომხეთი და საქართველო: უსაფრთხოების გამოწვევები თუ გამოწვევები უსაფრთხოებისთვის 2022? – ზოლიან მ., ადვალიანი ე. და სხვ
ეს პუბლიკაცია არის სტატიების კრებული, რომელიც ეფუძნება “სომხეთ-საქართველოს სამეზობლო: ექსპერტთა დიალოგი - სომხეთი და საქართველო: უსაფრთხოების გამოწვევები თუ გამოწვევები უსაფრთხოებისთვის 2022?” ღონისძიების თემებს, რომელიც გაიმართა თბილისში 2022 წლის სექტემბერში. სტატიებში განხილულია სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითებზე არსებული მიმდინარე გამოწვევები, კონკრეტულად კი 2020 წლის ყარაბაღის ომი და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი (საქართველო), ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის სომხური კომიტეტი (სომხეთი) და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასია.

შენიშვნა გამოცემის შესახებ
სტატიების ამ კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ ასახავს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის და მისი თანამშრომლების პოზიციას.

ISBN 978-9939-1-1595-5

სარჩევი

შესავალი 5

გამოწვევებით სავსე მსოფლიო და უსაფრთხოება ჩვენს გარშემო არსებული ტურბულენტობის ფონზე 7

მიქაელ ზოლიანი
ძველი იდენტობები, ახალი გამოწვევები, ახალი ნარატივები: სამხრეთ კავკასია უკრაინის ომის ფონზე 8

ემილ ავდალიანი
ჩინეთი, რუსეთი და „ევრაზიული“ წყობის შექმნის მცდელობები 15

უსაფრთხოება რეგიონში თუ რეგიონული უსაფრთხოება? რას უნდა ველოდოთ? 23

ზურაბ მენაღარიშვილი
ომი უკრაინაში - რა გავლენას ახდენს ის სამხრეთ კავკასიაზე 24

ჰაიკ ტოროიანი
სამხრეთ კავკასიის პოტენციური როლი მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებში 32

სომხეთი და საქართველო – ორივე ქვეყნის უსაფრთხოება, ინდივიდუალური უსაფრთხოების საპირისპიროდ 43

ანა გევორგიან-დავთიანი
სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები პოლიტიკური ტექსტების მიღმა: ძლიერი თანამშრომლობა სუსტი კავშირებით 44

დავით ბრაგვაძე
საქართველო და სომხეთი უსაფრთხოების ახალი გამოწვევების პირისპირ 51

სომხები და ქართველები – საზოგადოება და ინდივიდები 2022 წლის ახალ რეალობაში 59

შორენა კობაიძე
ეროვნული უმცირესობების არსებული მდგომარეობა და გამოწვევები საქართველოში 60

არმენ ოჰანიანი
ეროვნული უსაფრთხოება და საფრთხეშიმყოფიეროვნულობა 70

შესავალი

თქვენ წინაშე მოხსენებების კრებულია, რომელშიც შეჯამებულია 2022 წლის 15-17 სექტემბერს თბილისში გამართული ქართულ-სომხური საექსპერტო დიალოგის „სომხეთი და საქართველო: უსაფრთხოების გამოწვევები თუ გამოწვევები უსაფრთხოებისთვის 2022?“ მონაწილეთა მოხსენებები, რომლის ფოკუსი საზოგადოების აღქმაში რეგიონული, ორმხრივი უსაფრთხოების საკითხები და გამოწვევები და მათ დასაძლევად მიმართული ძალისხმევაა.

ქართულ-სომხური საექსპერტო დიალოგი თავისი ბუნებით უნიკალურია. იგი უკვე მერვე წელია არსებობს და მის ფარგლებში შეხვედრები რეგულარულად, მონაცვლეობით იმართება ერევანსა და თბილისში, რამდენიმეთვიანი შესვენებებით. ასეთი საექსპერტო ფორუმი შეირჩა ორმხრივ – სომხურ-ქართულ და რეგიონულ საკითხებზე მომუშავე სომეხი და ქართველი ექსპერტების უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ფართო საზოგადოების ჩართულობის მიზნით, იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ორივე ქვეყნისთვის ცალ-ცალკე, ასევე ზოგადად რეგიონისთვის.

აღნიშნული დიალოგის ფარგლებში ღიად და ღრმად განიხილეს უსაფრთხოების, დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და მედიის საკითხები, საზოგადოებაში არსებული ტენდენციები, საარჩევნო პროცესები და საორიენტაციო პროექტები. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ და ჩვენს ქვეყნებში მომხდარ მოვლენებს სხვადასხვანაირად აფასებდნენ, შეხედულებებისა და შეფასებების განსხვავებულობამ და მრავალფეროვნებამ საფუძველი ჩაუყარა ფიქრს და მომავალი კომუნიკაციისთვის ახალი გზების შექმნას.

ქართულ-სომხური საექსპერტო დიალოგის ფორმატს თანდათან ახალი თაობის ექსპერტები შეუერთდნენ, რითაც ხაზი გაესვა ფორმატის სიძლიერესა და აუცილებლობას. ასეთი მუდმივმოქმედი პლატფორმის შექმნის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მსგავს საკითხებზე მომუშავე და მჭიდრო პროფესიული და ადამიანური ურთიერთობის არმქონე ახალი

თაობის მეცნიერთა და ანალიტიკოსთა შორის არსებული ხარვეზის შევსებაა.

ჩვენმა დიალოგმა გაუძლო COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და არ შეაჩერა თავისი საქმიანობა ონლაინ პლატფორმების გამოყენების წყალობით. წელს კი, წელიწადნახევრიანი ვირტუალური თანამშრომლობის შემდეგ, ფიზიკურად შედგა უსაფრთხოების საკითხების განხილვა გლობალურ, რეგიონულ და ორმხრივ კონტექსტში.

წარმოდგენილ მოხსენებებში ამ საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის მცდელობა და ასევე ინტერესების დამთხვევისა და განსხვავებული ინტერესების აღმოჩენა გახლავთ.

მადლობას ვუხდით ფრიდრიხ ნაუმანის ფონდსა და მის წარმომადგენლობას სამხრეთ კავკასიაში ქართულ-სომხური ექსპერტების დიალოგის გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის, იდეების ხელშეწყობისა და იმ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე ყურადღების მიქცევისათვის, რომელსაც ჩვენი ფორმატი ეფუძნება და აგრძელებს განვითარებას.

განსაკუთრებული მადლობა პროფესორ ალექსანდრე ისკანდარიანს და „კავკასიის ინსტიტუტს“, რომლებიც ამ ფორმატის შექმნას სათავეში ედგნენ და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში.

ნინო კალანდარიშვილი
ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი

ნატალია მარტიროსიანი
ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის სომხური კომიტეტი

გამოწვევებით სავსე მსოფლიო და უსაფრთხოება ჩვენს გარშემო არსებული ტურბულენტობის ფონზე

ძველი იდენტობები, ახალი გამოწვევები, ახალი ნარატივები: სამხრეთ კავკასია უკრაინის ომის ფონზე

მიქაელ ზოლიანი

მას შემდეგ, რაც მსოფლიო განიცდის უკრაინის ომის შედეგად გამოწვეულ დიდ ძვრებს, სამხრეთ კავკასია ახალი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგას, რაც მანევრირებისთვის მცირე ადგილს ტოვებს სომხეთისა და საქართველოს მთავრობებისა და საზოგადოებებისთვის. ვინაიდან ორივე ქვეყანა ახალი და ძველი საფრთხის წინაშეა, სომხეთისა და საქართველოს რეაგირების ვარიანტები შეზღუდულია. ეს ვარიანტები ხშირად მოითხოვს – განსაკუთრებით სომხეთის შემთხვევაში – არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ვარიანტების გადაფასებას, არამედ ნარატივებს, რომლებიც მათი ეროვნული იდენტობის ნაწილი გახდა ათწლეულების, ან თუნდაც საუკუნეების განმავლობაში. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ჩვენი ქვეყნების გეოპოლიტიკური წყობისა და ისტორიული მემკვიდრეობის ხელახალი შეფასების პროცესი, რაც გამოიხატა ახალი (ან ნაწილობრივ ახალი) ნარატივების წინ წამოწევაში. აღნიშნული პროცესი ცდილობს ხელახლა განსაზღვროს ეროვნული იდენტობები და ნარატივები ისე, რომ საშუალება მოგვცეს, ვუპასუხოთ მიმდინარე გამოწვევებს. ეს ტენდენციები იმასაც ნიშნავს, რომ სომხეთსა და საქართველოს დღეს შეიძლება ბევრად მეტი საერთო ჰქონდეთ, ვიდრე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

უკრაინის ომმა მთელ მსოფლიოში არეულობა გამოიწვია. მან ასევე შექმნა, უფრო სწორად, გააძლიერა სერიოზული (შეიძლება ითქვას, ეგზისტენციალური) გამოწვევები სამხრეთ კავკასიის მინიმუმ ორი ქვეყნისთვის, სომხეთისა და საქართველოსთვის. პოსტსაბჭოთა რეგიონში რუსეთის პოსტკოლონიური დომინაციის შესაძლო მოშლას (რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მომგებიანი იქნება როგორც სომხეთისთვის, ასევე საქართველოსთვის), შესაძლოა ახალი საფრთხეები მოჰყვეს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს შემთხვევაში, ეს არის რუსული ექსპანსიის საფრთხე, რომელსაც ქართველები ებრძოდნენ მთელი თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში, განსაკუთრებით 1990-იანი წლების დასაწყისში და 2008 წლის ომის დროს და რომელიც დღეს გაძლიერდა, რადგან კრემლი, როგორც ჩანს, ფსონებს წევს დასავლეთთან დაპირისპირების საქმეში.

სომხეთისთვის საფრთხეები უფრო მრავალმხრივი და რთულია. აშკარა საფრთხეები მომდინარეობს აზერბაიჯანთან და თურქეთთან კონფლიქტიდან, ხოლო კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც შეიძლება ნაკლებად აშკარაა, მაგრამ, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მაინც ისეთივე სერიოზულია, არის სომხეთის სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს კრემლის ნეოიმპერიალისტური ამბიციებიდან (რომელსაც მათ სსრკ 2.0 შეარქვეს).

საქართველოც და სომხეთიც მკაცრად შეზღუდულია ამ გამოწვევებზე რეაგირების შესაძლებლობებში. ორივე ქვეყანაში მთავრობებმა ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედონ. საქართველო, ევროინტეგრაციისა და დასავლეთთან ალიანსისადმი ერთგულების მიუხედავად, უკიდურესად ფრთხილია, რათა არ განარისხოს ჩრდილოელი მეზობელი და არ შექმნას წინაპირობა უფრო აგრესიული ნაბიჯებისთვის. სომხეთის შემთხვევაში სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ქვეყანა ძირითადად მარტოა სუვერენიტეტისა და გადარჩენისთვის ბრძოლაში. სომხეთის სავარაუდო მოკავშირე რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ მან წარსულში უზრუნველყო გარკვეული ხარისხის დაცვა, მოითხოვა სოლიდური ფასი ამ დაცვისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა უფრო საშიშიც კი იყოს, ვიდრე საფრთხეები, რომელთა განეიტრალებაც უნდა მოხდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, დღეს დაცვის დონე ჩამოუვარდება სომხების მოლოდინებს, რაც მას აზერბაიჯანთან კონფლიქტის პირისპირ მარტოს ტოვებს. უფრო მეტიც, დღეს ბევრი დამკვირვებელი თვლის, რომ როგორი სარგებელიც არ უნდა ყოფილიყო წარსულში, დღეს რუსეთთან „უსაფრთხოების ალიანსი“ უფრო მეტ ზიანს აყენებს სომხეთს, ვიდრე სიკეთე მოაქვს. ასე რომ, ამ ვითარებაში სომხეთს შეიძლება მალე სხვა გზა არ დარჩეს, გარდა იმისა, რომ დატოვოს რუსეთის მიერ დომინირებული პოსტსაბჭოთა ინსტიტუტები, განსაკუთრებით CSTO. თუმცა, თუ ასე მოიქცევა, იგი დადგება შურისძიების საფრთხის წინაშე უკრაინაში დამარცხებული კრემლისგან, რომელიც მაინც დარჩება საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ გაანადგუროს ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც სომხეთია და ასევე კომბინირებული საფრთხეების წინაშე ანკარასა და ბაქოსგან, რომელთაც შეიძლება გამოიყენონ წარმოქმნილი ძალაუფლების ვაკუუმი სომხეთის მიმართ მათი აგრესიული პოლიტიკის გასატარებლად.

ასე რომ, საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მიერ განხორციელებული პოლიტიკა ბალანსირებს ფრთხილ რიტორიკას,

იძულებით დათმობასა და ჯიუტ წინააღმდეგობას შორის. ორივე მთავრობა ეწინააღმდეგება აგრესიულ იმპულსებს, რომლებიც მოდის მათი მეზობლებისგან, სადაც ეს შესაძლებელია და მიდის კომპრომისზე, სადაც ეს აუცილებელია. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს პროევროპულ/პროდასავლურ პოლიტიკას და ამავე დროს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ზედმეტი დაპირისპირება რუსებთან. რაც შეეხება სომხეთის მთავრობას, ის ხაზს უსვამს აზერბაიჯანთან გრძელვადიანი მშვიდობის აუცილებლობას, თურქეთთან ურთიერთობების დამყარებას, ამავდროულად, ყველაფერს აკეთებს აზერბაიჯანის ძალადობრივი თავდასხმების დასაძლევად სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე (რომელმაც ჯერ კიდევ უნდა გაიაროს დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესი). ის ასევე ცდილობს გააძლიეროს სომხეთის თავდაცვა 2020 წლის კონფლიქტში დამღუპველი მარცხის შემდეგ, განსაკუთრებით ახალი პარტნიორების მოძიებით, რომლებსაც შეუძლიათ ჩაანაცვლონ რუსეთი. კერძოდ, სომხეთი ასევე აგრძელებს თავის ჩუმ, მაგრამ ჯიუტ წინააღმდეგობას სომხეთის სამხრეთში ექსტრატერიტორიული დერეფნის შექმნის რუსულ-აზერბაიჯანულ-თურქული პროექტის მიმართ (პოზიცია, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად უნდა ემთხვეოდეს ქართულ, ირანულ და დასავლეთის ინტერესებს). ამავდროულად, რაც შეეხება მოსკოვთან ურთიერთობას, სომხეთი ერიდება ღიად ლაპარაკს ალიანსიდან გასვლის შესახებ, რადგან ხვდება, რომ დასუსტებულ რუსეთსაც კი ჯერ კიდევ აქვს დიდი შესაძლებლობები, ზიანი მიაყენოს სომხეთს და, შესაბამისად, მძიმე ფასი გადაახდევინოს იმისთვის, რაც შეიძლება სომხეთის ხელისუფლების ღალატად მიიჩნიოს.

ამ ტიპის საგარეო პოლიტიკა არ არის პოპულარული ახლად დამოუკიდებლობამიღებულ ქვეყნებში, რადგან საზოგადოებას შეზღუდული აქვს საერთაშორისო პოლიტიკის გაგება და საგარეო პოლიტიკის პოპულისტური კონცეფციები მედიისა და აქტივისტების ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობს. დათმობები და თავშეკავებული რიტორიკა, რომლისთვისაც მთავრობები წინააღმდეგობას აწყდებიან საზოგადოებების შიგნიდან, ხდის მათ დაუცველს როგორც ლეგიტიმური კრიტიკის, ისე პოპულისტური მანიპულაციის მიმართ. თუმცა, გარდა მთავრობების საგარეო პოლიტიკის პოპულისტური კრიტიკისა, სომხურ და ქართულ საზოგადოებებში ასევე მიმდინარეობს საინტერესო და

პოტენციურად ნაყოფიერი დებატები საგარეო პოლიტიკის შესახებ. საზოგადოებები რეაგირებენ ახალ ვითარებაზე და ახალ გამოწვევებზე რიტორიკისა და ნარატივის დონეზე, რაც თავის მხრივ ასახავს იდენტობების ტრანსფორმაციის პროცესს პოსტსაბჭოურიდან ახალ მდგომარეობაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პოსტ-პოსტსაბჭოთა. დღეს არსებული ვითარება მოითხოვს ახალ ენას და ახალ ნარატივებს, რადგან პოსტსაბჭოთა მსოფლმხედველობა აღარ გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რა ხდება და რატომ. იდენტობები და ნარატივები, რომლებიც არსებობდა ათწლეულების განმავლობაში და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში, განიცდის კრიტიკულ გადახედვასა და გადაფასებას. ეს განსაკუთრებით ეხება სომხეთს, სადაც რუსეთთან ალიანსის, როგორც უსაფრთხოების გარანტიის, უძველესი იდეა კრიტიკულ გადაფასებას ექვემდებარება. სომხური საზოგადოება იგებს რეალობას, რომ რუსეთს არა მხოლოდ არ შეუძლია ან არ სურს უზრუნველყოს თავისი სავარაუდო მოკავშირეების უსაფრთხოება, არამედ, უფრო მეტიც, რომ რუსეთსა და სომხეთს შორის არასოდეს ყოფილა თანაბარი მოკავშირეების ურთიერთობა, არამედ ეს იყო პოსტკოლონიური დამოკიდებულების ფორმა.

ახალი რეალობის ერთ-ერთი, გარკვეულწილად მოულოდნელი, ელემენტი, რომელიც ჩვენი საზოგადოებების მიერ კონცეპტუალიზაციას საჭიროებს, არის რუსი „გადასახლებულების“ შემოდინება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეებში. ამ ნაკადმა გამოიწვია სხვადასხვა გამოხმაურება სომხეთსა და საქართველოში, რაც აჩვენებს როგორც მსგავსებებს, ასევე განსხვავებებს ამ ორ ქვეყანას შორის. სპექტრის ერთ ბოლოში არის ამ „გადაადგილების“ აღქმა, როგორც რუსული საფრთხის ახალი „რეინკარნაცია“, მეორე მხრივ არის „გადაადგილების“ მიღება, როგორც პოტენციური მოკავშირეებისა ჩვენი ქვეყნების გაძლიერებასა და თუნდაც შენარჩუნებასა და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი.

რაც შეეხება ახალ ნარატივებს, კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა უკრაინის ომის კონტექსტში არის პოსტკოლონიალური ჭრილის გაჩენა, რომელშიც განიხილება პოსტსაბჭოთა გამოცდილება (ამ დაკვირვებისთვის მადლობელი ვარ ოლგასი, რუსი ანტი-ომის აქტივისტის პეტერბურგიდან, რომელიც ამჟამად გადასახლებულია

სამხრეთ კავკასიაში). ეს ჯერ კიდევ განვითარებადი ტენდენციაა, მაგრამ მნიშვნელოვანი პოტენციალით. ცივი ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში, საბჭოთა სისტემის ყველაზე მტკიცე ოპონენტებიც კი ყოველთვის არ თვლიდნენ სსრკ-ს არარუსი ხალხების მდგომარეობას, როგორც კოლონიალიზმს, კოლონიალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ასოცირების გამო, რომელიც არ გამოიყენებოდა სსრკ-სთან მიმართებაში. თუმცა, მოსკოვსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ურთიერთობის პოსტსაბჭოთა მოდელი აჩვენებს მნიშვნელოვან პარალელებს ყოფილ კოლონიალურ იმპერიებსა და მათ ყოფილ კოლონიებს შორის ურთიერთობების პოსტკოლონიალურ მოდელებთან, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია და იაფი მუშახელი, კულტურული და ეკონომიკური დომინირება, რასიზმი და ა.შ. თუმცა, ეს რეალობა ხშირად გაურკვეველი იყო გარე დამკვირვებლებისთვის, რადგან ბევრს, განსაკუთრებით დასავლეთში, ერჩივნა რუსეთი სანდო, თუმცა რთულ პარტნიორად ეხილა, ვიდრე აგრესიულ რევანშისტურ სახელმწიფოდ, რომელიც ცდილობს, აღადგინოს თავისი ყოფილი იმპერია. სწორედ რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციების უგულებელყოფამ გაურთულა საქართველოს საერთაშორისო საზოგადოებისთვის 2008 წლის ომის რეალური მიზეზების ახსნა, რადგან ზოგიერთი დამკვირვებელი დასავლეთში საქართველოს მთავრობასაც კი ადანაშაულებდა რუსების „პროვოცირებაში“. თუმცა, დღეს სიტუაცია შეიცვალა. უკრაინაში ბოლოდროინდელმა შეჭრამ ხელი შეუწყო რუსული იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის საკითხის დაყენებას და პოსტსაბჭოთა ხალხებს საშუალება მისცა, განეხილათ თავიანთი გამოცდილება ანტიკოლონიალური და ანტიიმპერიული წინააღმდეგობის თვალსაზრისით. ეს ნარატივი ძლიერდება როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში, ამ ეტაპზე ძირითადად აქტივისტებსა და ინტელექტუალებს შორის, მაგრამ მას აქვს პოტენციალი, შეიჭრას პოლიტიკურ სივრცეში და ჩამოაყალიბოს ამ ქვეყნების ნარატივები და იდენტობა უახლოეს წლებში.

ამ ფონზე სულ უფრო აშკარა ხდება, რომ სომხეთსა და საქართველოს საერთო ინტერესები აქვთ. ორივე ქვეყანას ემუქრება მნიშვნელოვანი საფრთხეები, ნაწილობრივ მაინც, ერთი და იმავე გარეშე აქტორების მხრიდან. მაშინ, როცა წარსულში საქართველო უსაფრთხოების კუთხით დასავლეთს ეყრდნობოდა და სომხეთი რუსეთზე იყო დამოკიდებული, ამჟამად სომხეთი გადის საგარეო პოლიტიკის

გადახედვის პროცესს, რაც ახალ შესაძლებლობებს ხსნის საქართველოსთან თანამშრომლობისთვის. ასევე, სომხეთის ახალი „მშვიდობის დღის წესრიგი“ მოითხოვს გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებას მეზობლებთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან და ამ კონტექსტში, საქართველოს, თურქეთთან და აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთობებით, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, როგორც მეგობრულ შუამავალს. დაბოლოს, სომხეთმაც და საქართველომაც მიიღეს მმართველობის დემოკრატიული მოდელები, არჩევანი, რომელიც ღრმად არის გამჯდარი ჩვენს საზოგადოებებში და, ამავე დროს, გამოგვარჩევს ჩვენი მეზობლების უმრავლესობისგან. დემოკრატიული მოდელისადმი ერთგულებამ რეგიონში, სადაც დემოკრატიულ მმართველობას უჭირს გაბატონება, ასევე უნდა დაგვაახლოოს. ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის წარმატებული თანამშრომლობა ორივე მხარის ძალისხმევას მოითხოვს. დიახ, ორივე საზოგადოებას შორის არის უდავო სიმპათია, რომელიც მომდინარეობს საერთო ისტორიული მემკვიდრეობიდან და ახლო კულტურული კავშირებიდან. მაგრამ, ამავდროულად, არსებობს სხვადასხვა სტერეოტიპი და მცდარი წარმოდგენები, რომლებიც ხშირად საფუძვლად უდევს მესამე მხარის და ულტრა ნაციონალისტების პროპაგანდას ორივე საზოგადოებაში. ამ საკითხის მოგვარება საჭიროა იმისათვის, რომ სომხურ-ქართული თანამშრომლობა უფრო ყოვლისმომცველი და ეფექტური გახდეს.

შეჯამებაში ვიტყვი, როცა მსოფლიო ტურბულენტობის ახალ პერიოდს უახლოვდება, სომხეთი და საქართველო ახალი და ძველი გამოწვევების წინაშე დგანან, რომელთაგან ზოგიერთი ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. ზოგიერთი ეს გამოწვევა მოითხოვს საგარეო პოლიტიკის სრულიად ახალ მიდგომებს, რაც თავის მხრივ მოითხოვს ათწლეულების წინანდელი ნარატივების კრიტიკულ გადაფასებას, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში აყალიბებდნენ ჩვენი ქვეყნების იდენტობასა და პოლიტიკას. როგორც შიდა, ასევე გარე ტრანსფორმაციის ამ ფონზე, ჩვენმა ქვეყნებმა უნდა გადააფასონ თავიანთი ურთიერთობა და ისწრაფონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ.

მიქაელ ზოლიანი *არის მკვლევარი, ანალიტიკოსი და უნივერსიტეტის პროფესორი ერევნიდან. მისი კვლევები ორიენტირებულია იდენტობის პოლიტიკის, ნაციონალიზმის, ეროვნული იდენტობის, ეთნიკური კონფლიქტის საკითხებზე, ასევე მასობრივ პროტესტებსა და დემოკრატიზაციის საკითხებზე პოსტსაბჭოთა კონტექსტში. 2018 წელს სომხეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მ. ზოლიანი ჩაერთო აქტიურ პოლიტიკაში და 2019-2021 წლებში გახდა პარლამენტის წევრი სომხეთის პირველ პოსტრევოლუციურ პარლამენტში. ამჟამად იგი დაუბრუნდა აკადემიურ საქმიანობასა და სამოქალაქო საზოგადოებას, ასწავლის ერევნის ვალერი ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშაობს კონსულტანტად სომხურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში. ის ასევე არის ახლად დაარსებული სომხური საგანმანათლებლო არხის Boon TV-ის სატელევიზიო შოუს წამყვანი.*

ჩინეთი, რუსეთი და „ევრაზიული“ წყობის შექმნის მცდელობები

ემილ ავდალიანი

მსოფლიოში არასტაბილურობის ახალი ეტაპი დადგა. არსებული ლიბერალური წესრიგი ფუნდამენტური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კოლექტიური დასავლეთის მოწინააღმდეგეები სულ უფრო მეტად ერთიანდებიან და იღვწიან რადიკალური ცვლილებებისკენ არსებულ სისტემაში. ამ ქვეყნებს შორის ყველაზე გამორჩეული ჩინეთი და რუსეთია, რომლებიც იმედოვნებენ, რომ შექმნიან ახალ იერარქიულ ან, რასაც მე ვუწოდებ, „ევრაზიულ“ წყობას, სადაც პოლიტიკური პრესტიჟი ეკონომიკურ და სამხედრო ძალასთან ერთად იქნება მთავარი შემაკავებელი დიდი ევრაზიული ძალების მეზობელი პატარა სახელმწიფოებისთვის, ჩართონ შორეული აქტორები, ძირითადად დასავლეთი. იერარქიული წყობა, არსებითად, არის ურიცხვი მცირე წყობის ერთობლიობა, სადაც მცირე რეგიონები დაიხურება დასავლური გავლენისთვის. ცენტრალურ აზიას,[1] სამხრეთ კავკასიას[2] ან სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას[3] - ყველა ამ გეოგრაფიულად განსხვავებულ და ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილს აქვს ერთი საერთო რამ, კერძოდ, უფრო დიდი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც უბიძგებენ არარეგიონული ძალების, კერძოდ, კოლექტიური დასავლეთის გვერდის ავლას.

საბოლოო ჯამში, რასაც ჩინეთი და რუსეთი ესწრაფვიან, ეს იქნება ევრაზიის სასიცოცხლო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის კონტროლის რეჟიმი, თუმცა, შემოთავაზებული იერარქიული სისტემა მაინც უფრო ელასტიური გზაა მისი გავლენის გაძლიერებისა და კოლექტიური დასავლეთის გამორიცხვისთვის. ეს წყობა ბევრად უფრო

---

1 Jardine, B., Lemon, E. (2021). In Post-American Central Asia, Russia and China are Tightening Their Grip. *War on the Rocks*. https://warontherocks.com/2021/10/in-post-american-central-asia-russia-and-china-are-tightening-their-grip/

2 Avdaliani, E. (2021). The South Caucasus and the New Hierarchical Order. *Georgia Today*. https://georgiatoday.ge/the-south-caucasus-and-the-new-hierarchical-order/

3 Pal, D. (2021). China's Influence in South Asia: Vulnerabilities and Resilience in Four Countries. *Carnegie Endowment for International Piece*. https://carnegieendowment.org/2021/10/13/china-s-influence-in-south-asia-vulnerabilities-and-resilience-in-four-countries-pub-85552

სწრაფია, ვიდრე გეოპოლიტიკური კონტროლი, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაამყარა სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. იერარქია მოიცავს თანამშრომლობის გარკვეულ დონეს მცირე სახელმწიფოებთან, რადგან უფრო დიდ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ცალმხრივად დომინირება მცირე რეგიონებში. იერარქია ასევე ეხება ძალთა ბალანსის ტაქტიკის ხელახლა გაძლიერებას და მყიფე ეკონომიკური და სამხედრო ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც მოიცავს რუსეთისა და ჩინეთის მოსაზღვრე რეგიონებს. წყობის ელასტიურობა უკვე აშკარაა პეკინისა და მოსკოვის მხრიდან ოფიციალურ სამხედრო და პოლიტიკურ ალიანსებზე თავიანთი კავშირების დაყრდნობისაგან თავის ასარიდებლად. დასავლეთში ბევრი მიიჩნევს ამას პეკინისა და მოსკოვის, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ხედვების ნიშნად, მაგრამ განვითარებად გლობალურ წყობაში, სადაც ლიბერალური ინტერნაციონალიზმი იკლებს და, სავარაუდოდ, შემოიფარგლება მხოლოდ მსოფლიოს გარკვეული რეგიონებით, ოფიციალური ალიანსების თავიდან აცილება შეიძლება რეალურად უფრო მომგებიანი იყოს. ეს ზრდის ევრაზიული ძალების მანევრირებას და ზღუდავს დაძაბულობის პოტენციალს. ეს ასევე ტოვებს სივრცეს კონკურენციისთვის, მაგრამ, ვინაიდან აშშ რჩება ძლიერ მოთამაშედ, რომელიც აპირებს, შეზღუდოს ჩინეთისა და რუსეთის ძლიერების პროექცია, ამ ორი ძალაუფლების საერთო ინტერესები დაჩრდილავს პოტენციურ კონფლიქტებს.

იერარქიული წყობა ასევე არსებითად ახლოსაა ჩინურ და რუსულ ისტორიულ ხედვებთან, როგორც ცივილიზებულ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი წარმოადგენენ არა კონკრეტულ ტერიტორიას, არამედ განსხვავებულ ცივილიზაციას, რომელიც ასახავს მის უნიკალურ ინსტიტუტებსა და გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. ამ ორი ევრაზიული სახელმწიფოსთვის იერარქიული წყობა იქნება დიდი ხნის ნანატრი გამოსწორება, ნორმალურთან მიბრუნება დასავლეთის თითქმის ორსაუკუნოვანი დომინირებიდან იმ დროში, როდესაც ევრაზია დომინანტური იყო ეკონომიკურად, ძალთა ბალანსი უზენაესი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში და ეგრეთ წოდებული ვესტფალიური პრინციპები ორმხრივ ურთიერთობებში ძირითად ელემენტებს წარმოადგენდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პეკინი და მოსკოვი დასავლეთში არსებულ პრობლემებს და აზიის აღზევებას ისტორიული ნორმალურობის დაბრუნებად მიიჩნევენ.

როგორც ძირითადად სახმელეთო სახელმწიფოები, მოსალოდნელია, რომ რუსეთი და ჩინეთი უფრო წარმატებულები იქნებიან ევრაზიის გულში. სივრცე, სადაც დასავლური გავლენა ისტორიულად მარგინალური იყო, რომელიც შორს არის ძირითადი საზღვაო ხაზებისგან, ბევრად უფრო მგრძნობიარეა ახალი წესრიგის მიმართ. მრავალი მაგალითი, როგორიცაა შავ ზღვაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე ცვლილებები, აჩვენებს, თუ როგორ ძლიერდება ეს განვითარებადი წყობა.

რა თქმა უნდა, ასევე არსებობს მნიშვნელოვანი საზღვრები, რისი მიღწევაც ჩინეთსა და რუსეთს შეუძლიათ. კოლექტიური დასავლეთი დარჩება ძლევამოსილ მოთამაშედ, თუმცა საგრძნობლად შემცირებული სურვილით, შეიჭრას ევრაზიის ხმელეთის სიღრმეში. პეკინსა და მოსკოვს შორის პერიოდულმა უთანხმოებამ, ისევე როგორც ინდოეთისა და აზიის სხვა ძალების წინააღმდეგობამ, შეიძლება შეამციროს წარმატებული იერარქიული წყობის პერსპექტივები. აშშ-ის სულ უფრო აშკარა პოლიტიკა ევრაზიისა და ინდო-წყნარი ოკეანის სფეროს მოკავშირეებსა და პარტნიორებზე დაყრდნობის შესახებ ასევე იქნება მთავარი დაბრკოლება იერარქიული წყობის წარმატებული მშენებლობისთვის.

მოსახერხებელი პარტნიორობის მიღმა

ჩინეთსა და რუსეთს შორის სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობები შეიძლება განიხილებოდეს სხვა პერსპექტივიდან. იმის ნაცვლად, რომ აღვწეროთ მათი ურთიერთობები, როგორც მოსახერხებელი პარტნიორობა, მათი კავშირები, ფაქტობრივად, ფესვგადგმულია დასავლეთთან საერთო მტრობის გაცილებით ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში. რუსეთის განვითარებადი გეოპოლიტიკური პოზიცია აქ კრიტიკულია, რადგან მისი როლი ჩინეთ-აშშ-ის გაფართოებულ კონკურენციაში გარკვეულწილად შეუმჩნეველია სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორ მოიქცევა რუსეთი ან რას ფიქრობენ რუსეთის პოლიტიკური ელიტა და ანალიტიკური საზოგადოება ქვეყნის ცვალებად პოზიციაზე ძალაუფლების გლობალურ ბალანსში - ეს კითხვები ძირითადად უპასუხოდ რჩება. იმის ცოდნა, თუ რა სურს რუსეთს და როგორ აპირებს ის მოიქცეს, კრიტიკულ პასუხებს გასცემს იმაზე, თუ როგორ განვითარდება ჩინეთ-აშშ-ის კონკურენცია ევრაზიის მასშტაბით და საბოლოოდ თავს მოუყრის დაკარგულ ნაწილებს ახალი გლობალური წესრიგის გაგებაში. საბოლოო ჯამში, ამ ნაწილში საუბარია იმაზე, რომ

რუსეთის მზარდი სტრატეგიული კავშირები ჩინეთთან ნაკლებად არის განპირობებული მისი კონკურენციით დასავლეთთან და უფრო მეტად ეფუძნება რუსული პოლიტიკური აზროვნების ისტორიას. ეს ასევე ნიშნავს, რომ ჩინეთთან პარტნიორობა უფრო გრძელვადიანია, ვიდრე ამას ხშირად მიიჩნევენ.

ევრაზიის რუკაზე ნებისმიერი სხვა ძალისგან განსხვავებით, რუსეთის პოზიცია ანაცვლებს ნებისმიერი სხვა მოთამაშის გავლენას აშშ-ჩინეთის მეტოქეობაზე. რუსეთის პოლიტიკური ელიტა აშშ-ჩინეთის ახალ დაპირისპირებას ხედავს, როგორც ოპტიმალურ შესაძლებლობას ქვეყნის დასუსტებული გეოპოლიტიკური პოზიციის გასაძლიერებლად მთელ ოდესღაც საბჭოთა სივრცეში. მოსკოვს სჯერა, რომ ვაშინგტონსაც და პეკინსაც ძალიან დასჭირდება რუსული მხარდაჭერა და ეს ლოგიკა განაპირობებს კრემლის უპირატესად არაკომპეტენტურ მიდგომას აშშ-ისა და ჩინეთის მიმართ. იდეალურ შემთხვევაში, რუსეთი შეეცდება, თავი დააყენოს ისეთ მდგომარეობაში, სადაც აშშ და ჩინეთი ძლიერ კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს რუსეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ეს აზროვნება ემყარება იმას, რისიც ეშინია დასავლეთს, თუ რუსეთი ექსკლუზიურად პროჩინური გახდება, და რისიც ეშინია პეკინს – თუ რუსეთი დასავლეთის ბანაკით მოიხიბლება. ეს აზროვნება ასევე ეფუძნება იმას, რასაც რუსეთი რეალურად ფიქრობს პოსტ-ლიბერალურ მსოფლიო წესრიგზე - მოსალოდნელია, რომ მრავალპოლარული სისტემა რუსეთს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილოს ფიქსაცია ჩინეთზე ან დასავლეთზე.

მხარეების არჩევა ასევე ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ ასეთი რადიკალური საგარეო პოლიტიკის ცვლილებას მნიშვნელოვანი სარგებელი უნდა მოჰყვეს. ჩინეთთან პარტნიორობით, რუსეთი ელოდება მისი გავლენის შემდგომ გაძლიერებას ცენტრალურ აზიაში, სადაც პეკინის ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ექსპონენტურად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა თავიანთი შეშფოთების ოფიციალურად გამოხატვისგან თავი შეიკავეს, ეს არ არის იმის უარყოფა, რომ ასეთი დამოკიდებულებები არსებობს რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში. თუმცა, ჩინეთი ვერ დაეხმარება რუსეთს უკრაინაში სუსტი პოზიციების განმტკიცებაში. სამხრეთ კავკასიაშიც კი, სადაც რუსეთის მზარდი დამოკიდებულება სამხედრო კომპონენტებზე საგარეო პოლიტიკის

ფორმირებაში საფრთხეს უქმნის მის პრესტიჟს და ეჭვქვეშ აყენებს რეგიონში გრძელვადიან მშვიდობას, ნაკლებსავარაუდოა ჩინეთის დახმარება. კომფორტი პეკინთან მუშაობისას ეხება ამ უკანასკნელის მხრიდან ინტერესის არქონას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის მიმართ. ჩინეთი ასევე ეწინააღმდეგება ოფიციალური ალიანსების შექმნას. პეკინის აზრით, ფორმალური ალიანსები აფერხებს ქვეყნების მანევრირებას. ეს ახლოს დგას რუსეთის იდეებთან სახელმწიფო სუვერენიტეტის გაძლიერებისა და სხვადასხვა გეოპოლიტიკურ პოლუსებს შორის დაბალანსების შესახებ კონკრეტული ალიანსის ვალდებულებების აღების გარეშე.

რუსეთი სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ჩინეთზე 2014 წლიდან, როდესაც მოსკოვის კავშირები კოლექტიურ დასავლეთთან ცივი ომის დასრულების შემდეგ ყველაზე დაბალ დონეზე დავიდა. ამან ბევრს აფიქრებინა, რომ რუსეთი შეიძლება გადაიქცეს ჩინეთის დანამატად. როგორც ქვემოთ იქნება განმარტებული, უფრო ნიუანსური განვითარება შეიძლება იყოს მოსალოდნელი.

რამდენად ფუნდამენტურია რუსეთის აზიური საყრდენი, დამოკიდებულია ჩინეთის განვითარებად საგარეო პოლიტიკაზე და კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკაზე. რუსეთის გადასვლა აზიაში (მათ შორის ახლო აღმოსავლეთში), რაც, ბევრის აზრით, უფრო მოკლევადიანი განვითარებაა, სინამდვილეში გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ დასავლეთისადმი იმედგაცრუების შედეგი ან ძლიერი მოლაპარაკების პოზიციის აგების მცდელობა. პროცესი უფრო ღრმად არის ფესვგადგმული რუსულ ისტორიულ ტრადიციაში - მოძებნეთ ის, რასაც მე ვუწოდებ საგარეო პოლიტიკის „დევესტერნიზაციას“, როდესაც მთავრდება დასავლეთზე ფიქსაცია და სანაცვლოდ მრავალპოლარული საგარეო პოლიტიკა ტარდება „გლობალური რუსეთის“ პოლიტიკით, რომელიც თანაბრად არის მიმართული ყველა რეგიონზე მთელ მსოფლიოში, რაც უფრო მეტ სივრცეს იძლევა დაბალანსებისა და მანევრირებისთვის. ამ უკმაყოფილებას და რუსეთის საგარეო პოლიტიკის „დევესტერნიზაციის“ სხვადასხვა მცდელობას შეიძლება მივაკვლიოთ წინა საუკუნეებში, რაც გვიჩვენებს, რამდენად თანდაყოლილი იყო ეს საგარეო პოლიტიკური ალტერნატივების ძიება რუსეთში. როდესაც მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრე დიდმა განახორციელა რუსეთის რეფორმირება და ძლიერი

ევროპეიზაცია მოხდა მმართველ ელიტაში, მას შემდეგ ბევრი ადიდებდა მას, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ღრმად იმედგაცრუებულები დარჩნენ. მათ სჯეროდათ, რომ პეტრემ გაარღვია ხიდი უბრალო ხალხსა და რუსულ პოლიტიკურ ელიტას შორის. ბევრს ასევე სჯეროდა, რომ ქვეყნის ევროპაცენტრიზმი ფაქტობრივად ზღუდავდა რუსეთის შესაძლებლობას, პოზიციონირდეს როგორც ნამდვილი გლობალური ძალა. რომანოვებმა ცადეს იმავეს გაკეთება, განსაკუთრებით 1853-1856 წლების ყირიმის ომის შემდეგ. საბჭოელებიც, მსოფლიოსადმი ყველა იდიოსინკრატული მიდგომით, დაბალანსების თამაშს მისდევდნენ. ორივე მცდელობა ჩაიშალა რესურსებისა და ძლიერი აზიელი პარტნიორების ნაკლებობის გამო. ამის საპირისპიროდ, დღეს ჩინეთის ძალა მოსკოვს ისტორიულ შესაძლებლობას სთავაზობს. აქედან მოდის რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის „დევესტერნიზაციის“ მცდელობები, რომელიც უნდა ჩაითვალოს რუსული პოლიტიკური აზროვნების ზემოთ განხილული დიდი ისტორიული ციკლის განმეორებად.

ყველა მიუთითებს კარგად დამკვიდრებულ ტენდენციაზე, რაც ნიშნავს, რომ რუსეთის დისტანცირება ევროპასთან არ არის დროებითი მოვლენა და ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობის დაშლა, როგორც ეს მოხდა 1970-იან წლებში, ნაკლებად სავარაუდოა. მაშინაც კი, თუ დასავლეთი გადავა გრანდიოზულ გეოპოლიტიკურ გარიგებაში უკრაინისა და რუსეთის მეზობელი სხვა სახელმწიფოების გამო, მოსკოვის სწრაფვა თავისი საგარეო პოლიტიკის „დევესტერნიზაციისკენ“, სავარაუდოდ, გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად განიხილება, როგორც შედარებით გვიანდელი ფენომენი, რომელიც განვითარდა 2010-იან წლებში პუტინის დროს და დასავლეთთან უკრაინის გამო დაპირისპირების შედეგად, განცალკევების ამჟამინდელი ტენდენცია მოქმედებს სულ მცირე 1990-იანი წლებიდან, როდესაც დასავლეთის უნიპოლარული მომენტის მიმართ უკმაყოფილების ნიშნები გამოჩნდა - კარგად აისახა “რუსეთ-ჩინეთის ერთობლივ დეკლარაციაში მულტიპოლარული სამყაროს და ახალი საერთაშორისო წესრიგის დამყარების შესახებ”, რომელიც წარედგინა გაეროს 1997 წელს.[4] ეს იმაზე მეტყველებს, რომ უკრაინის პრობლემებისა და ყირიმის ანექსიის

4 “Russian-Chinese Joint Declaration on a Multipolar World and the Establishment of a New International Order”. (1997). http://www.lawinfochina.com/display.aspx?id=7131&lib=tax&-SearchKeyword=&SearchCKeyword=

გარეშეც კი, რამაც გამოიწვია დასავლეთთან გამიჯვნა, რუსეთი მაინც აპირებდა დაბალანსებას და ევროპისგან დისტანცირებას, თუმცა ნაკლებად ტრავმული გზით.

ეს ასევე ნიშნავს, რომ რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობის ახსნისას ჩვენ უნდა გავიხედოთ „მოსახერხებელი პარტნიორობის“ პერსპექტივის მიღმა. მზარდი თანამშრომლობა და მთლიანობაში რუსეთის აზიური საყრდენი მხოლოდ ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილია რუსეთის მიერ მსოფლიო წესრიგისა და მასში მისი ადგილის განვითარებაში. ღერძი განუყოფლად არის ჩაქსოვილი მოსკოვის მცდელობებში, თავი დააღწიოს დასავლეთზე ფიქსაციას.

ხშირად უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ რუსეთისთვის ჩინეთიც და აშშ-იც თანაბრად გრძელვადიანი თითქმის ერთი და იმავე კალიბრის გეოპოლიტიკური კონკურენტები არიან. მოსკოვში ნდობა ორივე ძალაუფლების მიმართ დაბალია. რუსეთის თანდაყოლილი გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა არის აშშ-ჩინეთის კონკურენციაში ჩართვაზე თავშეკავება; მისი გეოგრაფიული და სამხედრო პოზიციის გამოყენება აშშ-სა და ჩინეთის გეოპოლიტიკური მხარდაჭერისთვის რუსეთთან მიახლოებით. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება კონკურენცია ორ ეკონომიკურ და სამხედრო ძალას შორის, მით უფრო მომგებიანი იქნება ეს მოსკოვის გეოპოლიტიკური მიზნებისთვის სამხრეთ კავკასიაში, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში. მეტოქეობას ასევე შეუძლია გარკვეული დრო მისცეს რუსეთს, რომ ის ჩამოყალიბდეს გეოპოლიტიკური გრავიტაციის ცალკე პოლუსად, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბის.

ამრიგად, იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ რუსეთი უფრო მეტად იქნება მიბმული ჩინეთთან და ამით დაკარგავს მანევრირების უნარს, შესაძლოა, განვითარდეს სრულიად საპირისპირო მოვლენები. რუსეთს, რომელიც მოქცეულია ორ დიდ გეოპოლიტიკურ ცენტრს – ჩინეთსა და დასავლეთს შორის, გაცილებით მეტი მოქნილობა ექნება იმისთვის, რომ ერთი მეორის წინააღმდეგ ათამაშოს. მისი მიბრუნება აზიისკენ ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ უკრაინის გამო დასავლეთთან კავშირების გართულებით, არამედ წარმოადგენდა რუსეთის საგარეო მსოფლმხედველობის „დევესტერნიზაციის“ დიდი ხნის პოლიტიკის გაგრძელებას. დასავლეთზე გეოპოლიტიკური ფიქსაციის თავიდან

აცილება იმპერიულ და საბჭოთა ეპოქაში რუსული დიპლომატიის უმთავრესი მიზანი იყო. დასავლეთის ძლიერი ალტერნატივები, უფრო სწორად, დამაბალანსებლები, მაშინ არ არსებობდა. თუმცა, ჩინეთის აღზევებასთან ერთად მოდელი შეიცვალა. "დევესტერნიზაციის" მიმართულება ძლიერდება. მოსკოვის გადმოსახედიდან, ეს ქმნის პერსპექტიულ გარემოებებს დასავლეთთან კავშირების დასაბალანსებლად ჩინეთთან მზარდი პარტნიორობით.

ემილ ავდალიანი *არის Geocase-ის ახლო აღმოსავლეთის კვლევების დირექტორი და ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი. მას აქვს მაგისტრის ხარისხი ოქსფორდის უნივერსიტეტში და დოქტორის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). ემილ ავდალიანი ამჟამად ასწავლის ისტორიასა და საერთაშორისო ურთიერთობებს ევროპის უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან გამოსცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის მისი ბოლო წიგნი „ახალი მსოფლიო წესრიგი და მცირე რეგიონები: სამხრეთ კავკასიის შემთხვევა", გამოცემულია პალგრეივ მაკმილანის მიერ. დოქტორი ე. ავდალიანის სპეციალიზაცია მოიცავს თანამედროვე პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში სამხრეთ კავკასიასა და უფრო ფართო ევრაზიაში, განსაკუთრებული აქცენტით ირანზე, თურქეთსა და ჩინეთზე. დოქტორი ე. ავდალიანი მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიაში, როგორც რეგიონული ანალიტიკოსი, რომელიც აშუქებს რუსეთსა და მის მეზობლებს. ის რეგულარულად აქვეყნებს ნამუშევრებს CEPA, RUSI, Caucasuswatch.de, Georgia Today და ა.შ. საუბრობს და წერს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, სპარსულ, ჩინურ და კურმანჯზე.*

უსაფრთხოება რეგიონში თუ რეგიონული უსაფრთხოება? რას უნდა ველოდოთ?

ომი უკრაინაში - რა გავლენას ახდენს ის სამხრეთ კავკასიაზე

ზურაბ მენაღარიშვილი

შესავალი

რუსეთის არაპროვოცირებულმა შეჭრამ უკრაინაში და შემდგომმა ვითარებამ ბრძოლის ველზე მნიშვნელოვნად იმოქმედა არა მხოლოდ უკრაინისა და რუსეთის უსაფრთხოებაზე, არამედ დანარჩენი მსოფლიოს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზეც. შესაბამისად, ამ ომმა გავლენა მოახდინა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მცირე სახელმწიფოების საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე.

ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ შექმნა ახალი გამოწვევები, საფრთხეები და შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიისთვის, როგორც ერთიანი რეგიონისა და მასში შემავალი თითოეული სახელმწიფოსთვის.

წინამდებარე ნაშრომში მე განვიხილავ ამ ახალ შესაძლებლობებს, რისკებსა და მოსალოდნელ გამოწვევებს. ასევე იმას, თუ რა შეცვალა ომმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის.

თუმცა, იმის გასაგებად, თუ როგორ აისახება ომი რეგიონზე, სწორი იქნება ჯერ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ხდება თავად ომში.

ომით შეპყრობილი

უკრაინაში ომის დაწყებიდან შვიდი თვე გავიდა, მაგრამ რუსეთმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზანს. ასევე უცნობია, როდის შეიძლება დასრულდეს ეს კონფლიქტი.

კონფლიქტზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა უკრაინაში რამდენიმე ძირითადი მარცხი განიცადა:

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მარცხი ისაა, რომ მან ვერ მიაღწია ომის დასაწყისში დასახულ მიზანს, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინაში ხელისუფლების შეცვლას და ქვეყნის დაბრუნებას რუსეთის გავლენის სფეროში.

ამ მიზნის შეუსრულებლობის ყველაზე ნათელი გამოვლინება იყო ჯარების გაყვანა კიევის, სუმისა და ჩერნიგოვის რეგიონებიდან და ომის

მეორე ეტაპის დაწყება, რომლის მიზანი შედარებით მოკრძალებული იყო - ყურადღების გადატანა დონბასზე.

აღსანიშნავია, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის დაწყებული ომი არ იყო ტერიტორიული დავა ორ მეზობელს შორის, სადაც რომელიმე მხარის მიერ პატარა სოფლის ოკუპაციაც კი დიდ წარმატებას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს იყო ომი, რომლის მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლების დამხობა და, შესაბამისად, გეოპოლიტიკური ცვლილების განხორციელება იყო - თუმცა ამას რუსეთმა ვერ მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი უძლური იყო, მიეღწია წინასწარ დასახული მიზნისთვის და გამარჯვებულს დაეტოვებინა ბრძოლის ველი, მაინც არსებობდა ომის სასიკეთო შედეგის მიღების შესაძლებლობა. მას შეეძლო უკრაინა არასტაბილურ, უფუნქციო, ქაოტურ ქვეყნად გადაექცია, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მოსკოვმა ეს ვერ შეძლო უკრაინისათვის დასავლეთის მიერ აღმოჩენილი დახმარების გამო. ეს რუსეთის მეორე მარცხია უკრაინაში.

მესამე და ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მარცხად შეიძლება ჩაითვალოს ხარკოვის რეგიონის კონტრშეტევა, როდესაც რუსეთი დამარცხდა არა მხოლოდ პოლიტიკური პარამეტრებით, არამედ უშუალოდ ბრძოლის ველზეც. გველის კუნძულის (ზმეინის) დაკარგვა მსგავსი, მაგრამ შედარებით მოკრძალებული მოვლენა იყო. შედეგად, ზმეინისა და ხარკოვის ოლქის დაკარგვით კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ომი ისე არ მიდის, როგორც რუსეთს სურს.

ამის გათვალისწინებით, უკრაინაში არსებული ვითარება მოითხოვს კრემლის დიდ ყურადღებას, რომლის ლოგიკური გამოვლინებაც არის ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება მთელ რუსეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინა, რომელიც აქამდე ნომერ პირველი ამოცანა იყო, მოსკოვისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ძირითადი ძალისხმევისა და ყურადღების უკრაინის ომზე გადატანა და ამ კონფლიქტში დასახული მიზნების მიუღწევლობა ასუსტებს რუსეთის გავლენას სხვა რეგიონებში, მათ შორის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ყოველივე ეს შემდგომში ქმნის გარკვეულ სივრცეს

ადგილობრივი თუ რეგიონალური პარტიებისთვის, რომ იმოქმედონ კრემლისაგან დამოუკიდებლად.

გავლენა რეგიონზე

მთელი რესურსების უკრაინისკენ მიმართვისა და ომში სრულად ჩართვის შედეგად რუსეთის ყურადღება სამხრეთ კავკასიის მიმართ მოდუნდა. რუსეთს არ შეუძლია თანაბრად ეფექტური იყოს ყველგან.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე ესკალაციის დროს აზერბაიჯანის თავდასხმა სომხეთის ტერიტორიებზე 12-14 სექტემბერს (რომელიც აქამდე არასოდეს ყოფილა ასეთი მასშტაბური) იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ რაოდენ შეპყრობილია რუსეთი ომით.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქო უარყოფს სომხების ბრალდებებს თავდასხმასთან დაკავშირებით, აშკარაა, რომ ეს იყო ყველაზე კოლოსალური და მძიმე ესკალაცია ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ მსხვერპლის რაოდენობისა და გეოპოლიტიკური შედეგების თვალსაზრისითაც.

მას შემდეგ, რასაც სომხეთმა აზერბაიჯანის თავდასხმა უწოდა, ერევანმა დახმარებისთვის მიმართა როგორც რუსეთს, ასევე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას (TASS, 2022), მაგრამ მათი რეაგირება არ იყო აქტიური. ნაცვლად ამისა, რუსეთმა მოუწოდა სომხეთს, გადაეჭრა „ყველა სადავო საკითხი დიპლომატიური და პოლიტიკური გზებით“ (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2022 წ.).

წარსულშიც რუსეთი აქტიურად არ იცავდა სომხეთის ინტერესებს, რაც შეიძლება ჩაითვალოს სომხეთის ახალი მთავრობის, უფრო კონკრეტულად ფაშინიანის (პრემიერ-მინისტრის) სასჯელად, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა მმართველობის რუსულ სტილს. თუმცა, რუსეთმა აზერბაიჯანს არ მისცა „წითელი ხაზების“ გადაკვეთის უფლება, რაც განპირობებული იყო სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობით და ასევე ბრძოლის შეწყვეტის სურვილით მას შემდეგ, რაც 2020 წლის ომში აზერბაიჯანის უპირატესობა ნათელი გახდა.

მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც რუსეთი ზედმეტად დაკავებულია იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიას საკმარისი ყურადღება დაუთმოს, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ რუსეთს არ შეუძლია სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რეგიონის მიმართ რუსეთის მიერ ყურადღების მოდუნება, რომელიც აქამდე მხარეებს შორის შუამავლად და ასევე სომხეთის მოკავშირედ ითვლებოდა, არის სიგნალი ბაქოსთვის, რომ შესაძლო ესკალაციების შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივ ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ დაიწყო სროლა, მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი სამხედრო უპირატესობა მოწინააღმდეგეზე ზეწოლის მიზნით. ესკალაციისა და სასაზღვრო დავების უკიდურეს შემთხვევაში, ეს შეიძლება ასევე ნიშნავდეს კოლექტიური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე იერიშის მიტანას.

მეორე მხრივ, სომხეთის მოსახლეობისა და მთავრობისთვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ რუსეთს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როცა მას გადასაჭრელი აქვს უფრო სერიოზული საკითხები, ვიდრე სამხრეთ კავკასიაა. ქვეყანას სჭირდება ახალი გლობალური ძალა, რომელიც შეასრულებს სამართლიანი შუამავლის როლს აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებში. ეს შეიძლება იყოს „კოლექტიური დასავლეთი“, აშშ ან ევროკავშირი, რომელიც მოლაპარაკებების დროს მიუკერძოებელი დარჩება. დასავლეთის გაძლიერება აზერბაიჯანის ინტერესიც უნდა იყოს, რამდენადაც ის იქნება შედარებით ნეიტრალური მედიატორი კონფლიქტის დროს.

თეორიულად, ამ ეტაპზე, როდესაც რუსეთს დრო არ აქვს კავკასიისთვის, საქართველოს უჩნდება შესაძლებლობა, გამონახოს საერთო ენა აფხაზებთან და ოსებთან, თუმცა ის ფაქტი, რომ აფხაზები, ოსები და ქართველები ომის სხვადასხვა მხარეს იბრძვიან, ართულებს ხალხებს შორის შესაძლო დიალოგს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონზე გავლენის გარდა (რაც გამოიკვეთა რუსეთის დასუსტებითა და ადგილობრივი აქტორების გააქტიურებით), რუსეთის მიერ ინიცირებულმა ომმა გავლენა იქონია თითოეული ქვეყნის როგორც უსაფრთხოებაზე, ასევე საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ომის დაწყების წყალობით აზერბაიჯანმა შეძლო, ხელი მოეწერა ევროკავშირთან გაზის მიწოდების ახალ ხელშეკრულებაზე (Aljazeera, 2022), რაც, ბუნებრივია, ქვეყნის შემოსავლების ზრდას ნიშნავს. ამით საქართველოც ისარგებლებს, რადგან მის ტერიტორიაზე გადის ევროპასთან დამაკავშირებელი მილსადენები.

უკანასკნელი ესკალაციებისა და აზერბაიჯანთან ყარაბაღის მეორე ომის ფონზე, პრორუსული განწყობები გაძლიერდა სომხეთის ოპოზიციურ ჯგუფებში (IRI, 2022), რაც ნიშნავს ოპოზიციის გაძლიერებას ფაშინიანის მთავრობის წინააღმდეგ, რადგან ოპოზიციური ამომრჩეველი არ თვლის მას რუსეთის მოკავშირედ.

ომის დაწყებისთანავე, ასობით ათასი რუსი და ბელარუსი მიგრანტი გაემართა საქართველოსა (IDFI, 2022) და სომხეთისაკენ (ამერიკის ხმა, 2022). შედეგად, გაიზარდა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე და დიდ ქალაქებში საცხოვრებლის ფასმა მოიმატა. ამან მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას (ნეტგაზეთი, 2022), რადგან მათი ყოველთვიური შემოსავალი გაცილებით დაბალია, ვიდრე რუსი მიგრანტებისა.

ამრიგად, ჩვენ ვდგავართ მზარდი საბინაო კრიზისის წინაშე, რაზეც მთავრობებმა ადეკვატური რეაგირება უნდა მოახდინონ.

საქართველოში ტვირთების გაზრდილი რაოდენობა შემოვიდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნიდან, რაც დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე, თუმცა ამან ასევე აჩვენა, რომ ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაა საჭირო.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სწორედ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი საქართველოსთვის ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭება, თუმცა უკრაინამ და მოლდოვამ, რომლებიც საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ ამ პროცესში, შეძლეს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება.

დასკვნის ნაცვლად

როგორც ჩანს, ომი უკრაინაში დიდხანს გაგრძელდება და რუსეთისთვის უდავო გამარჯვების მოპოვება ადვილი არ იქნება. შესაბამისად, კავკასია

გაურკვეველი დროით დარჩება რუსეთის ყურადღების გარეშე.

კიდევ ერთხელ, ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ რუსეთი მთლიანად დატოვებს რეგიონს, მაგრამ, ადგილობრივი, განსაკუთრებით რუსეთის აგრესიის საფრთხის ქვეშ მყოფი, სახელმწიფოები უნდა მოემზადონ რუსეთის უფრო ძლიერი დაბრუნებისთვის რეგიონში, რათა მან ვეღარ შეძლოს კრემლთან ურთიერთობის მართვა კოლონიალისტური პოზიციიდან.

ამისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი მოკავშირეების პოვნა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს კოლექტიური დასავლეთი.

მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ძნელია დასავლეთის დაინტერესება, უფრო სწორად, მისი „იძულება“, დააბალანსოს ძალები რუსეთის წინააღმდეგ რეგიონში, კავკასიის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით საქართველომ, უნდა განაგრძონ ძალისხმევა მეტი ისეთი ძალის მოპოვებისთვის, რომელიც გადაწონის რუსულ თუ სხვა გავლენებს.

ამის მიღწევა შესაძლებელია მშვიდობიანი გზით და, საქართველოს შემთხვევაში, ერთდროულად დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერით და დასავლეთისთვის შეხსენებით, რომ საქართველო და, შესაბამისად, რეგიონი ისეთივე საფრთხეების წინაშე დგას, როგორიც ამჟამად უკრაინაშია.

ლიტერატურა:

Aljazeera. (2022, Jul 13). *EU signs deal with Azerbaijan to double gas imports by 2027.* Aljazeera.com. https://www.aljazeera.com/news/2022/7/18/eu-signs-deal-with-azerbaijan-to-double-gas-imports-by-2027

IDFI. (2022, Sep 7). *ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი).* IDFI.ge. https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia

IRI. (2022, Sep 9). *Public Opinion Survey: Residents of Armenia | June 2022.* iri.org. https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-armenia-june-2022/

Ministry of Foreign Affairs of Russia. (2022, Sep 13). *Заявление МИД России в связи с эскалацией напряженности между Азербайджаном и Арменией*. Mid.ru. https://mid.ru/ru/press_service/spokesman/official_statement/1829629/

Netgazeti. (2022, Sep 15). *რა ეშველებათ სტუდენტებს — სწავლა იწყება, ბინები კი კვლავ ძვირია.* Netgazeti.ge. https://netgazeti.ge/life/627826/

TASS. (2022, Sep 13). *Armenia has already appealed to Russia, CSTO, UN in connection with clashes on the border.* TASS.com. https://tass.com/world/1506567

Voice of America. (2022, Apr 7). *Thousands of Russians Move to Armenia Amid Russia's Aggression in Ukraine.* voanews.com. https://www.voanews.com/a/thousands-of-russians-move-to-armenia-amid-russia-aggression-in-ukraine/6519184.html

ზურაბ მენაღარიშვილი მუშაობს ქართულ მედიაში, „ნეტგაზეთში“ და ძირითადად სამხრეთ კავკასიის საკითხებს აშუქებს. მიიღო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას ასევე აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში. სწავლის პერიოდში მან ერთი სემესტრი გაატარა ავსტრიაში, ზალცბურგში. პერიოდულად

აქვეყნებს სტატიებს სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის, კონფლიქტებისა და გამოწვევების შესახებ. ზ. მენაღარიშვილი სომეხ კოლეგებთან ერთად ხშირად იღებს მონაწილეობას საზღვრისპირა თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებში.

სამხრეთ კავკასიის პოტენციური როლი მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებში

ჰაიკ ტოროიანი

მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები, ძირითადად, ომი უკრაინაში, მთიანი ყარაბაღის ბოლო ომი და ენერგეტიკული კრიზისი ევროკავშირში აყალიბებს ახალ რეალობას, სადაც ქვეყნებისა და რეგიონების როლები შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს. ეს ნაშრომი უფრო ღრმად განიხილავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლს ამ ცვლილებებში და არსებულ პოლიტიკურ კლიმატში. უპირველეს ყოვლისა, ნაშრომი შეისწავლის ახალი რეალობის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს კავკასიის სამი ქვეყნისთვის და პოტენციურ მოვლენებს, რომლებსაც შეუძლია სამუდამოდ შეცვალოს რეგიონი. საკომუნიკაციო ქსელების პოტენციური გახსნის განხილვა იქნება სტატიის ცენტრალური თემა, უფრო სწორედ, პოტენციური აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი, რომელიც დაუკავშირებს ჩინეთს ევროპასა და სამხრეთ-ჩრდილოეთ დერეფანთან, რომელიც დაუკავშირებს ინდოეთს ევროპასთან. ორივე პროექტმა პოტენციურად შეიძლება გაიაროს სამხრეთ კავკასიაზე და გავლენა იქონიოს ქვეყნების პოლიტიკასა და კონფლიქტებზე, რომლებშიც ისინი არიან ჩართულნი.

სამხრეთ კავკასია – რეგიონი, რომელსაც თავისი მოსახლეობა მსოფლიოს ცენტრად აღიქვამს, ხოლო გარეშე ადამიანებისთვის ის სამყაროს კიდეა. ეს არის ციტატა სტატიიდან, რომელიც ახლახან გამოაქვეყნა ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა.

ჩვეულებისამებრ, დავეთანხმები მას და გავიცინებ უაღრესად გაზვიადებულ შეხედულებაზე ჩემი სამშობლოს შესახებ. თუმცა, ბოლოდროინდელმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა – ომმა უკრაინასა და მთიან ყარაბაღში – რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია. ამ სტატიაში მე ვამტკიცებ, რომ ზემოხსენებულმა ომებმა, რუსეთ-დასავლეთის კონფლიქტმა, ჩინეთის ექსპანსიამ, ევროკავშირის ენერგეტიკულმა კრიზისმა და სხვა ფაქტორებმა შეიძლება პოტენციურად უფრო დიდი როლი შეასრულოს რეგიონისთვის. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გადაჭარბებული თვითმნიშვნელოვნების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

იმისთვის, რომ გავიგოთ სამხრეთ კავკასიის პოტენციური როლი მიმდინარე გეოპოლიტიკურ ძვრებში, უნდა გავიხედოთ რეგიონის მიღმა. დავიწყოთ ისეთივე ძველი პროექტით, როგორიც არის სომხური და ქართული ანბანები – აბრეშუმის გზა. ჯერ ერთი, სახელწოდებით One Belt One Road საინვესტიციო გეგმა და ახლა რებრენდირებული, როგორც Belt and Road პროექტი ჩინეთის მიერ, გზა – ან, მე ვიტყოდი, გზები – გამიზნულია ჩინეთის ბაზრების ევროპულ ბაზრებთან დასაკავშირებლად. არსებითად, ახალი ინიციატივა არის აბრეშუმის გზის განახლებული და გადაფორმებული ვერსია. ჩინეთის მიერ 2013 წელს შემუშავებული ინიციატივა მიზნად ისახავს დააკავშიროს ჩინეთის ბაზარი ევრაზიის 70-ზე მეტ ქვეყანასთან. ინიციატივა გვთავაზობს სამ ტრაექტორიას ჩინეთიდან:

1. **ჩრდილოეთის სარტყელი**, რომელიც გადის ცენტრალური აზიისა და რუსეთის გავლით ევროპაში.
2. **ცენტრალური სარტყელი,** რომელიც გადის შუა აზიისა და დასავლეთ აზიის გავლით სპარსეთის ყურესა და ხმელთაშუა ზღვაში; დამატებით იგეგმება ინდოეთის ოკეანესთან დამაკავშირებელი გზა პაკისტანის გავლით.
3. **სამხრეთის სარტყელი,** რომელიც გადის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთის ოკეანეზე, უკავშირდება აფრიკის კონტინენტს და შემდეგ ევროპას სუეცის არხის გავლით საბერძნეთამდე და მის ფარგლებს გარეთ. ეს მარშრუტი უფრო საზღვაოა, ხოლო დანარჩენები უფრო მეტად ხმელეთსა და ქვეყნებს კვეთს.

მთავარი აქცენტი გაკეთდა ჩრდილოეთის მარშრუტზე, რადგან ის კვეთდა ნაკლებ ქვეყნებს და ქმნიდა ურთიერთდამოკიდებულ კავშირებს რუსეთსა და ჩინეთს შორის. მარშრუტმა ხელი შეუწყო ორი დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობის აყვავებას. თუმცა, უკრაინის ომმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებისას დაიხურა რუსეთთან ევროპის დამაკავშირებელი ძირითადი საკომუნიკაციო არხები, რაც გავლენას მოახდენს ჩინეთის ბაზრებიდან შემოსულ ტრანსფერებზეც, რის შედეგადაც „სარტყელი და გზის“ (Belt and Road) ინიციატივა ჩრდილოეთის მარშრუტით მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი დაზარალდა რუსეთის ქმედებებით უკრაინაში კავშირის კუთხით, მან ბევრი რამ მოიპოვა რუსეთისგანაც. ძირითადად, ჩინეთი ყიდულობს ბუნებრივ აირს რუსეთიდან 30%-იანი ფასდაკლებით და აარსებს

სურსათის გადამამუშავებელ ქარხნებს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში პოტენციური შიმშილის შესამსუბუქებლად, რომელიც შეიძლება სერიოზული რისკი გახდეს რუსეთში უკრაინის ომის გამო.

ჩრდილოეთ სარტყელზე არსებული გართულებით, სამხრეთის სარტყელი ასევე შეიძლება გახდეს დიდი პრობლემა ჩინეთისთვის. საზღვაო მარშრუტი გადის მალაკას სრუტეზე – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი, რომელიც მდებარეობს მალაიზიას, სინგაპურსა და ინდონეზიას შორის. ნედლი ნავთობის 80 პროცენტი, რომელიც გადაეცემა ჩინეთს ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან, ტრანსპორტირდება სრუტის გავლით, დამატებით, სავარაუდოდ, ჩინეთიდან ექსპორტის დაახლოებით 36-44% გადის ამ ვიწრო წყალში. პეკინი ხედავს სრუტეს, როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ მდებარეობას და ჩინეთის "აქილევსის ქუსლს", რადგან ამ ვიწრო მონაკვეთის ბლოკადა გამოიწვევს ჩინეთის ეკონომიკის ტოტალურ კოლაფსს. ამიტომ ჩინეთი აქტიურად ეძებს ალტერნატიულ სავაჭრო და ენერგეტიკულ მარშრუტებს.

ეს არის ის, სადაც ცენტრალური სარტყელი ჩნდება სურათზე. ენერგორესურსების ფასდაკლებიდან დაზოგილი დამატებითი თანხით ჩინეთმა „სარტყელი და გზის" ცენტრალურ მარშრუტს შეხედა, როგორც რუსეთის დომინირებული ჩრდილოეთ სარტყლისა და მისი აქილევსის ქუსლის სამხრეთის სარტყლის ალტერნატივას. ცენტრალური სარტყელი გამართულად არ ფუნქციონირებდა, რადგან გზაზე ძალიან ბევრი კონფლიქტი და დაბრკოლება იყო. რუსეთ-საქართველოს ომი, დაუსრულებელი კრიზისი ავღანეთში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, აზერბაიჯანის დაძაბულობა მეზობლებთან კასპიის ზღვის გასწვრივ, ირანის წინააღმდეგ სანქციები და მრავალი სხვა კონფლიქტი, დაძაბულობა და სხვა გარემოებები წარმოადგენდა დაბრკოლებას Belt and Road ცენტრალური მარშრუტის სრული პოტენციალით ფუნქციონირებისთვის.

თუმცა, სამხრეთ კავკასიაში მთავარ დაბრკოლებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი წარმოადგენდა – რომელიც მოქმედებდა როგორც კვანძი, რომელიც ხურავდა ყველა კომუნიკაციას, არა მხოლოდ მეზობლებს შორის, არამედ რეგიონის მიღმა სხვა აქტორებისთვისაც.

2020 წლის ომმა მთიან ყარაბაღში რადიკალურად შეცვალა სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში. ომი, რომელიც 44 დღე გაგრძელდა, დასრულდა იმით, რომ აზერბაიჯანის ჯარებმა აიღეს კონტროლი სომხებით დასახლებული ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ირგვლივ შვიდ რეგიონზე, ასევე დამატებით ტერიტორიებზე ყოფილ NKAO-ს რეგიონში. ახლად მოპოვებულმა ტერიტორიებმა განაპირობა აზერბაიჯან-ირანის საზღვრის გაფართოება და სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი საზღვრის დამყარება სომხეთის სამხრეთ ნაწილში. 9 ნოემბრის შეთანხმება, რომელმაც შეაჩერა ომი, მოიცავს პუნქტებს რეგიონში ყველა კომუნიკაციის გახსნის შესახებ, ასევე აზერბაიჯანიდან მის ანკლავთან ნახიჩევანთან სომხეთის გავლით კავშირის უზრუნველყოფას.

“დიდი” მოთამაშეებიც ჩაერთვნენ და წვლილი შეიტანეს ომის მსვლელობაში. ჩინეთი მთიანი ყარაბაღის ომში უხილავი მოთამაშე იყო, თუმცა სომხეთის სამოქალაქო ავიაციის მონაცემებით, ჩინეთმა 27 თვითმფრინავი, სავარაუდოდ, ჰუმანიტარული დახმარებით გაგზავნა ბაქოში იმ პერიოდში, როდესაც სხვა ქვეყნების უმეტესობა ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას და არაფერს უგზავნიდა არცერთ მხარეს. თუ ეს ინფორმაცია მართებულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი დაინტერესებული იყო აზერბაიჯანის გამარჯვებით და განსაკუთრებით იმ დერეფნის გახსნით, რომელიც აზერბაიჯანს ნახიჭევანთან დააკავშირებს. გარდა ამისა, ომში ასევე შეიქმნა ძლიერი ალიანსი ისრაელს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და პაკისტანს შორის, სადაც სამივე მხარს უჭერს ბაქოს სომხეთის წინააღმდეგ ომში. ომის შედეგად თურქეთის გავლენა რეგიონში და თავად აზერბაიჯანში საგრძნობლად გაიზარდა.

ირანი ომის დროს ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებებში შუამავლობის მცდელობით. გარკვეული დაძაბულობა ისლამურ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის წარმოიშვა, როდესაც რამდენიმე აზერბაიჯანული რაკეტა სომხეთის ნაცვლად ირანის ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ამან გამოიწვია ირანის საჰაერო თავდაცვის სისტემების მობილიზება და განლაგება კონფლიქტის ზონასთან ძალიან ახლოს, თუმცა ირანსა და აზერბაიჯანს შორის შემდგომი ესკალაცია არ მომხდარა, რამაც სომხური მხარის იმედგაცრუება გამოიწვია. ომის შედეგებმა მაინც ვერ დააკმაყოფილა თეირანი, თუმცა საჯაროდ ირანმა მიულოცა აზერბაიჯანს ომში გამარჯვება.

ისლამურ რესპუბლიკას აქვს თავისი დათქმები. ჯერ ერთი, ირანსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დაგრძელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბაქოს გავლენის გაფართოება ირანის ჩრდილოეთ ნაწილში ეთნიკურ აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე. მეორეც, თეირანში დიდ შეშფოთებას იწვევს ისრაელის გავლენა ბაქოში და, რა თქმა უნდა, ომმა ხელი შეუწყო ამ გავლენის გაზრდას იმდენად, რამდენადაც ისრაელელები აზერბაიჯანისგან ყიდულობენ უზარმაზარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ირანთან ახლოს ახლად მოპოვებულ ტერიტორიებზე. ირანის მესამე საზრუნავია მისი საზღვარი სომხეთთან, სომხეთ-ირანის საზღვარი იყო ირანის მთავარი კავშირი სხვა ბაზრებთან და ირანის ხელმძღვანელობა აშკარად ეწინააღმდეგებოდა ამ საზღვრის ნებისმიერ ცვლილებას. თავდაპირველად ბაქო ითხოვდა ე.წ ზანგეზურის დერეფნის შექმნას – დერეფანი, რომელიც აზერბაიჯანს ნახიჭევანთან დააკავშირებს და რომელსაც ექნება დამატებითი ტერიტორიული სტატუსი და არსებითად გამიჯნავს ირანს და სომხეთს. ირანის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოხატა თავისი წინააღმდეგობა ამ გეგმის მიმართ, ბოლო გაფრთხილება კი ოქტომბერში იყო, როდესაც ირანის პრეზიდენტმა ებრაჰიმ რაისიმ გააფრთხილა რეგიონში საზღვრების ცვლილების შესახებ პრეზიდენტ ალიევთან შეხვედრის დროს. გარდა სიტყვიერი გაფრთხილებისა, ისლამურმა რესპუბლიკამ ასევე გახსნა გენერალური საკონსულო ქალაქ კაპანში – სიუნიქის რეგიონალურ ცენტრში. ეს შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პირდაპირი მინიშნება ირანის გეგმაზე, გააფართოვოს ურთიერთობები სომხეთთან და კიდევ ერთხელ გააფრთხილოს აზერბაიჯანი საზღვრების ცვლილებისა და განსაკუთრებით სიუნიქის რეგიონში შეჭრის შესახებ.

მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობდა ამა თუ იმ გზით დახმარებოდა სომხეთს, მაგრამ, ეს გააკეთა თავისი სპეციფიკური გზით. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსები ომში თავიანთ იარაღს ძირითადად ეფექტურობის პარამეტრზე ამოწმებდნენ დიდებული ბაირაქტარის უპილოტო საფრენი აპარატების ან უპილოტო თვითმფრინავების წინააღმდეგ. მთიან ყარაბაღში, ადგილობრივი ჯარისკაცების თქმით, რუსეთი საჰაერო სივრცეს კეტავდა და ხსნიდა საკუთარი სურვილის შესაბამისად. ამ თეორიის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს რუსული ჯავშანტექნიკის და საზენიტო სისტემების სწრაფი მოდერნიზაცია, რომელიც მოხდა მთიან ყარაბაღში ომის დასრულებამდე და უკრაინის ომის დაწყებამდე. გარდა ამისა, რუსეთმა

გადაწყვიტა, დაესაჯა სომხეთი და სომხეთის ხელმძღვანელობა 2018 წელს ხავერდოვანი რევოლუციისა და დასავლეთთან თანამშრომლობის გაზრდისთვის – სცენარი, რომელიც საკმაოდ ნაცნობია საქართველოს, უკრაინისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. თუმცა, რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, უზრუნველყოფილიყო ფიზიკური ყოფნა მთიან ყარაბაღსა და სომხეთში – განსაკუთრებით საიდანაც მათ შეეძლოთ ჩრდილოეთის სარტყლის პოტენციური ალტერნატივის – ცენტრალური სარტყლის გაკონტროლება. მიზანი, რომელსაც მათ მიაღწიეს მთიან ყარაბაღში სამშვიდობო ძალების განლაგებით და 9 ნოემბრის განცხადებით. როგორც შეთანხმების მეცხრე პუნქტში წერია, „რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი განიბლოკება. სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს სატრანსპორტო კავშირების უსაფრთხოებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, რათა მოაწყოს ადამიანების, მანქანებისა და ტვირთის შეუფერხებელი გადაადგილება ორივე მიმართულებით. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახური პასუხისმგებელია სატრანსპორტო კავშირებზე ზედამხედველობაზე“.

მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კომუნიკაციის გახსნის თემაზე. გარდა ამისა, ერევანი და ანკარა ჩაერთნენ ნორმალიზების პროცესში ორ ქვეყანას შორის, რომელთა საზღვრები დაკეტილი იყო 1992 წლიდან. ამ პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში ყველა კომუნიკაციის განბლოკვა და საბოლოოდ გახდეს BnR ინიციატივის ნაწილი. მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ მოგვარდა კიდევ ერთი დიდი ხნის პრობლემა. აზერბაიჯანსა და თურქმენეთს 30 წლიანი კონფლიქტი ჰქონდათ სადავო ნახშირწყალბადის საბადოს გამოყენების შესახებ, რასაც თან ახლდა ორმხრივი მუქარა და უთანხმოება. თუმცა, ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ ორ ქვეყანას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელმაც გახსნა ახალი კარი პოტენციური ახალი კომუნიკაციებისთვის კასპიის ზღვაზე, რომელიც ემსახურება BnR თავსატეხის კიდევ ერთ ნაწილს. გარდა ამისა, ტრანსკასპიური მილსადენი, როგორც ჩანს, ახალ რეალობაში განსახორციელებელი შესაძლო პროექტია.

უფრო აღმოსავლეთით, თავსატეხის კიდევ ერთი ნაწილი დადგა თავის ადგილას 14 სექტემბერს სამარყანდში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის ფარგლებში. ჩინეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ, რომელიც დააკავშირებს სამ ქვეყანას ევროპასთან, რუსეთის გვერდის ავლით.

ცენტრალური სარტყლის გზის პარალელურად – ან დავარქვათ მას აღმოსავლეთიდან დასავლეთის გზა – არის სხვა მარშრუტი, რომელსაც განიხილავენ სხვა აქტორები. ეს გზა იწყება ინდოეთში, ზღვით მიემართება ირანის ჩაბაჰარის პორტამდე, რომელიც გათავისუფლებულია დასავლეთის სანქციებისაგან, ჩაბაჰარიდან იყოფა ორ მიმართულებად, ერთი მიდის ცენტრალურ აზიაში, პაკისტანის გვერდის ავლით, მეორე კი – შავი ზღვისა და ევროპისკენ, სომხეთისა და საქართველოს გავლით. ამ გზისთვისაც სამხრეთ კავკასია შეიძლება იყოს ევროპასთან დაკავშირების გასაღები მსოფლიოში არსებული რთული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ე.წ. ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი (INSTC) მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და მას ინდოეთი რუსეთთან და ფინეთთან უნდა დაეკავშირებინა, ირანისა და აზერბაიჯანის ჩაბაჰარის პორტის გავლით, კიდევ ერთი მარშრუტი იყო დაგეგმილი ცენტრალური აზიის გავლით. თუმცა, უკრაინის ომმა დიდი გავლენა იქონია ამ მარშრუტზე ისევე, როგორც ჩრდილოეთ სარტყელზე. ინდოეთი ახლა გათიშულია ფინეთისა და დანარჩენი ევროპისგან რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამო. ამრიგად, საჭიროა ალტერნატიული მარშრუტის შემუშავება ინდოეთის ბაზრების ევროპასთან დასაკავშირებლად.

ახალი შესაძლო მარშრუტი, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიაზე გაივლის, რაც კიდევ ერთხელ ამაღლებს რეგიონის მნიშვნელობას გლობალური სავაჭრო მარშრუტებისთვის და სწორედ აქ ეხსნება სომხეთს შანსი, იყოს ინფრასტრუქტურის ნაწილი. ეს უკანასკნელი ცდილობს ინდოეთთან და ირანთან კარგი ურთიერთობების დამყარებას, რათა დარწმუნდეს, რომ დერეფანი ირანსა და საქართველოს დასაკავშირებლად ამ ქვეყანაზე გაივლის. ადრეული მინიშნებები აჩვენებს პროექტის გარკვეულ წინსვლას, სომხეთი აღადგენს გზებს მაღალი ტემპით – განსაკუთრებით

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალს, რომელიც ირანთან მოსაზღვრე ქვეყნებს აკავშირებს საქართველოს საზღვართან. პროგრესი შეჩერდა 2020 წელს მთიანი ყარაბაღის ომის გამო, სადაც სომხეთმა დაკარგა კონტროლი სამხრეთ ქალაქების – კაპანისა და გორისის დამაკავშირებელი მარშრუტის ნაწილზე და მოუწია ალტერნატიული გზის აშენება. გზა აშენდა ევროკავშირის 2,6 მილიარდი ევროს დახმარების პაკეტის მეშვეობით, რომელიც სომხეთს 2021 წელს გადაეცა დემოკრატიის ხელშეწყობისა და მთიანი ყარაბაღის ომიდან გამოსვლის მიზნით. გარდა ამისა, სომხეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ახალ შეთანხმებებს ინდოეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და გააფორმა ხელშეკრულებები სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

ამრიგად, გვაქვს ორი მარშრუტი, რომელსაც პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გლობალურ ვაჭრობაზე და ტრანსპორტირებაზე: აღმოსავლეთ-დასავლეთი ან ცენტრალური სარტყელი და ჩრდილოეთ-სამხრეთი. ორივე მარშრუტი, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიაზე გაივლის. თუმცა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აქვთ საკუთარი იდეები პროექტების ლოგისტიკის შესახებ. პოლიტიკურად ჩვენ გვაქვს მკაფიო დაყოფა სხვადასხვა მხარედ: პირველ მხარეს წარმოადგენს აზერბაიჯანის, თურქეთის, პაკისტანისა და ისრაელის ალიანსი, ხოლო მეორეს – სომხეთი, ირანი და ინდოეთი. საქართველო ცდილობს ნეიტრალური როლი შეასრულოს, რადგან ყველა კავშირებით ისარგებლებს, თუ არ იქნება კონკრეტული სცენარის განვითარება. და შემდეგ არის რუსეთი.

ამ კომუნიკაციებსა და გზაჯვარედინებში რუსეთის ინტერესებისა და მიზნების გასაგებად კიდევ ერთხელ მივმართავ 9 ნოემბრის განცხადებას და კონკრეტულად იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ „რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო სამსახური პასუხისმგებელია სატრანსპორტო კავშირების ზედამხედველობაზე“. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს წინადადება ჩაწერილიყო შეთანხმებაში, რადგან მას სურს გააკონტროლოს აზერბაიჯანის ნახიჭევანთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც გაივლის სომხეთის პროვინცია სიუნიქს. ეს ასევე ნიშნავს რუსეთის კონტროლს ცენტრალური სარტყლის სომხურ ნაწილზე. ამ დერეფნის კონტროლი ასევე ნიშნავს არაპირდაპირ კონტროლს ჩრდილოეთ-სამხრეთის გზაზე, რომელსაც მოუწევს რუსეთის კონტროლირებადი დერეფნის გადაკვეთა.

ამრიგად, რუსეთი კიდევ ერთხელ გაუწევს ზედამხედველობას ყველა კომუნიკაციას, რომელიც აკავშირებს აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის ბაზრებს ევროპასთან.

თუმცა, როგორც ჩანს, სომხეთის ამჟამინდელ მთავრობას და საზოგადოებას ყელში ამოუვიდა რუსული გავლენა ქვეყანაში, განსაკუთრებით კიმძევლის მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა რუსეთთან სტრატეგიული ალიანსის ხელმოწერისა და CSTO-ში შესვლის შემდეგ. რუსეთი იყო სომხეთის სტრატეგიული პარტნიორი და CSTO სომხეთის უსაფრთხოების გარანტია უნდა ყოფილიყო მისი მტრულად განწყობილი მეზობლების აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ. მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ აზერბაიჯანის ძალებმა შეუტიეს და დაიკავეს სომხეთის სუვერენული ტერიტორიები, რაზეც არც რუსეთს და არც CSTO-ს რეაგირება არ მოუხდენია. 2022 წლის 13-14 სექტემბერს აზერბაიჯანის ბოლო თავდასხმას მოჰყვა 200-ზე მეტი სომეხი ჯარისკაცის დაღუპვა სულ რაღაც ორ დღეში და სომხეთის ტერიტორიის დაახლოებით 60 კვადრატული კილომეტრის ოკუპაცია. კიდევ ერთხელ, რუსეთი და CSTO არ გამოვიდნენ სომხეთის დასახმარებლად, თუმცა ეს მითითებულია CSTO-ს წესდებაში და რუსეთ-სომხეთის სტრატეგიული ალიანსის შეთანხმებაში. სექტემბრის ესკალაციამ გამოიწვია სომხური საზოგადოების მასიური პროტესტი რუსეთისა და CSTO-ს წინააღმდეგ, ამას მოჰყვა ასევე აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ნენსი პელოსის ვიზიტი სომხეთში. სექტემბრის ესკალაციამ მასიურად შეცვალა სიტუაცია ადგილზე. ერთი მხრივ, არის აზერბაიჯანი, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი, ან თუნდაც ხელს უწყობს აზერბაიჯანს, რათა დარწმუნდეს, რომ სომხეთი მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, რომელიც მიუთითებს რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი დერეფნის გახსნაზე. მეორესმხრივ, აზერბაიჯანი დერეფნის ძალით გახსნით იმუქრება და დაჟინებით მოითხოვს შექმნილი დერეფნის ექსტრატერიტორიულობას. სომხეთი ამ შემთხვევაში ვერავის დაეყრდნობა, თუმცა ჩვენ ვხედავთ მკაფიო სიგნალებს აშშ-სგან, რომელიც ცდილობს მხარი დაუჭიროს სომხეთს დემოკრატიისა და ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. სომხეთის მთავარი მიზანია, შეინარჩუნოს თავისი ტერიტორიის სუვერენიტეტი და მასზე გამავალი გზები, იქნება ეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის თუ ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი მარშრუტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტროლი რუსეთს გადაეცემა აზერბაიჯანის

დამხმარე ხელით, რომელიც გააგრძელებს ძალის გამოყენებას სომხეთის წინააღმდეგ, რათა ზეწოლა მოახდინოს ერევანზე და ხელი მოაწერინოს შეთანხმებაზე.

დასასრულს, თავს უფლებას მივცემ, ვიყო გულუბრყვილო და ოპტიმისტი. თუ აზერბაიჯანი დათანხმდება, არ გამოიყენოს ძალა სომხეთის წინააღმდეგ და არ მოახდინოს ზეწოლა სომხეთზე, რომ მან ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ყოფნას მისი ტერიტორიის ნახიჭევანთან დამაკავშირებელ გზაზე, სამხრეთ კავკასია შეიძლება გათავისუფლდეს რუსული გავლენისგან და გახდეს დამოუკიდებელი და იქცეს ურთიერთდამოკიდებულ სატრანსპორტო კვანძად, რომელიც დააკავშირებს აღმოსავლეთს დასავლეთთან და ჩრდილოეთს სამხრეთთან. და ასეთ ვითარებაში, ეს აქცევს სამხრეთ კავკასიას გზაჯვარედინად ყველა მხარისთვის და ფაქტობრივად მსოფლიოს ცენტრად – როგორც მას მისი მოსახლეობა წარმოიდგენდა ბოლო 2000 წლის განმავლობაში.

ჰაიკ ტოროიანი *არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ნაციონალიზმის კვლევის პროგრამის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) კურსდამთავრებული. მას ასევე აქვს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „მშვიდობის დამყარების გამოწვევები და შესაძლებლობები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში“.*

2010 წლიდან ჰაიკ ტოროიანი თანამშრომლობს CMI-სთან (Crisis Management Initiative) – მარტი ახტისარის მშვიდობის ფონდთან. 2016 წელს გახდა CMI-ის რეგიონული კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში. მანამდე იგი მუშაობდა გაეროს სომხეთის ასოციაციაში, ეუთოს ოფისში ერევანში, ასევე მედიისა და რეკლამირების სფეროში. ჰ. ტოროიანი ასევე მუშაობდა ჯინიშიანის სახელობის ფონდში, ხელს უწყობდა და ახორციელებდა დებატების ტრენინგებს სკოლებში სომხეთის ყველა რეგიონში. იგი რეგულარულად ატარებს სემინარებსა და ლექციებს სომეხი და აღმოსავლეთ ევროპელი სტუდენტებისთვის კონფლიქტების ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების შესახებ.

სომხეთი და საქართველო – ორივე ქვეყნის უსაფრთხოება, ინდივიდუალური უსაფრთხოების საპირისპიროდ

სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები პოლიტიკური ტექსტების მიღმა: ძლიერი თანამშრომლობა სუსტი კავშირებით

ანა გევორგიან-დავთიანი

მეზობლები და რეგიონი: როდესაც საუბარია რეგიონულ თანამშრომლობაზე და მის სირთულეებზე, სომხური პოლიტიკური ისტებლიშმენტი, როგორც წესი, თვლის, რომ ეს ეხება მხოლოდ თანამშრომლობის აღდგენას იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც აქვთ კონფლიქტი და მათი თანამშრომლობა სუსტია ან საერთოდ არ არის. თუმცა, არსებობს ასევე ნაკლოვანებები იმ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, რომლებსაც აქვთ კარგი პოლიტიკური ურთიერთობები მაღალ დონეზე და კარგი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ საზოგადოების დონეზე, მაგრამ რეგიონალური ინსტიტუციური თანამშრომლობა მაინც არაა, ან ძალიან სუსტია. როგორც პოლიტოლოგმა ანა ოჰანიანმა ხაზგასმით აღნიშნა თავის წიგნში „ქსელური რეგიონალიზმი, როგორც კონფლიქტის მართვა“: „სამხრეთ კავკასია არის ინსტიტუციური უდაბნო“ სუსტი სახელმწიფოებით და სუსტი კავშირებით ერთმანეთთან. მაგრამ არის ეს მხოლოდ რეგიონში არსებული დიდი ძალების გამო, თუ ვივარაუდოთ, რომ თავად რეგიონის ქვეყნები არ აცნობიერებენ ერთმანეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობას სხვა აქტორების ჩარევის გარეშე?

სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები არის კარგი ურთიერთობების ძალიან ნათელი მაგალითი პოლიტიკურ, სოციალურ და პირად დონეზე, მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს ძლიერი, მდგრადი ინსტიტუციური ურთიერთქმედების ბერკეტი. როდესაც ხორციელდება ინსტიტუციური პროექტები, ისინი კვლავ მჭიდროდ არის დაკავშირებული გარე აქტორებთან ან პირად ინიციატივებთან და მოტივაციასთან. ჩემი ვარაუდით, ეს გამოწვეულია რეგიონის იმიჯით, რომელიც თითოეულ ქვეყანას აქვს, როგორც ეტაპი საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაში. სომხეთმაც და საქართველომაც შექმნეს თავიანთი გარემოს სურათი, რომელიც დაფუძნებულია საკუთარი თავის და სხვების მითოლოგიურ აღქმაზე.

რეგიონის რუკების შედგენისას სომხეთსა და საქართველოს სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი აქვთ. სომხეთისთვის „რეგიონი“

უპირველეს ყოვლისა დახურულ საზღვრებს და, შედეგად, მცირე შესაძლებლობებს ნიშნავს.

რეგიონზე საუბრისას საქართველო ჩვეულებრივ გულისხმობს ევროპის ქვეყნებს და მის სურვილს, იყოს ამ რეგიონის ნაწილი. ამრიგად, არსებობს წარმოსახვითი და რეალური რეგიონები და მათი საზღვრები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

ამჟამად სომხეთის მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამაში საქართველო მოხსენიებულია, როგორც სტრატეგიული მეზობელი და ქვეყანა, რომელთანაც სომხეთს უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა, რომელიც უნდა შეინარჩუნოს. იმავე ფორმულირებას თავისი ადგილი ეკავა 2020 წლის ივლისში მიღებულ სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც.

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი საქართველოს მოხსენიებისას იყენებს სიტყვებს, როგორებიცაა „მეგობრული“, „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი“... და ა.შ. იმავე ლექსიკას იყენებენ პრეზიდენტი და პარლამენტარები. მაგრამ ამ სიტყვების მიღმა მცირე სამუშაოა განხორციელებული უკეთესი ინსტიტუციური კავშირებისა და მეტი ურთიერთქმედების მისაღწევად საშუალო დონის სახელმწიფო მოღვაწეებსა და დიპლომატებს შორის. ნიკოლ ფაშინიანი უკვე შეხვდა საქართველოს სამ პრემიერ-მინისტრს, რომელთაც ყოველ ჯერზე სხვადასხვა მრჩეველი ახლდათ. ასე რომ, აშკარაა ინსტიტუციური მეხსიერების ნაკლებობა, რაც ქმნის დახურული წრის ატმოსფეროს, სადაც მთავრობის თითოეული წევრი იწყებს დიალოგს ერთი და იმავე წერტილიდან და საბოლოოდ მცირე შესაძლებლობას ქმნის.

საპარლამენტო დიპლომატიაშიც ცოტა რამ გაკეთდა. სამეგობრო ჯგუფები ფორმალურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მგრძნობიარე საკითხების განხილვის სათანადო პლატფორმის და არსებული პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობების დასაძლევად ერთობლივი პროგრამების გარეშე.

ერთმანეთისა და რეგიონის ამგვარი წარმოდგენის გამო, მეზობელი ქვეყნები ერთმანეთის ცხოვრებაში მცირე როლს ასრულებენ. მაგრამ, ექსტრაორდინალური სიტუაციები, როგორიცაა პანდემია და ომები,

ხაზს უსვამს იმ რეალობას, რომ გეოგრაფია მნიშვნელოვანია და ჩვენ არ შეგვიძლია - და არ უნდა - უგულებელვყოთ მისი მნიშვნელობა. ამგვარად, რუსეთ-საქართველოს ომის დროს სომხეთის ეკონომიკამ განიცადა უზარმაზარი უარყოფითი ზემოქმედება, რაც ზოგიერთი ოფიციალური პირის თქმით, უარესი შედეგი იყო, ვიდრე 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგაც კი. პანდემიის დროს ორივე ქვეყანა გრძნობდა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას ვირუსის „საზღვრების გარეშე“ კონტროლისთვის, ხოლო 2020 წლის ყარაბაღის ომის დროს აშკარა იყო, რომ საქართველოს პოზიცია შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო სომხეთის იზოლაციისთვის.

რა გაკვეთილები ვისწავლეთ ყველა ამ ვითარებიდან და როგორ ვაპირებთ გავუმკლავდეთ მომავალ საფრთხეებს, რომლებმაც შეიძლება იმუშაოს ქვეყნების თანამშრომლობის წინააღმდეგ? ეს კითხვები ქვეყნების პოლიტიკურ პროგრამებში უნდა ყოფილიყო განხილული. თუმცა, ორივე ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რეგიონის ატმოსფეროსა და საერთო გლობალური კრიზისის გათვალისწინებით, ამის მცირე შესაძლებლობას ნიშნავს.

უსაფრთხოება: პოლიტიკურ დონეზე, უსაფრთხოების მოსაზრებები, სხვადასხვა რეგიონული საფრთხე და შედეგად, უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემა, რომელშიც სომხეთი და საქართველო აღმოჩნდებიან, ქმნის დიდ კედელს მეზობლებს შორის. რუსეთი, რომელიც საქართველოს მტერია, არის სომხეთის ე.წ. „უსაფრთხოების გარანტი“: ეს გარანტია ემყარება 1997 წელს ხელმოწერილ სომხეთ-რუსეთის ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას, ასევე სომხეთის გაწევრიანებას რუსეთის ხელმძღვანელობით სამხედრო ბლოკში „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ (CSTO). თუმცა, „უსაფრთხოების გარანტორის“ სტატუსი შეირყა ყარაბაღის ომის შემდეგ, რომელშიც რუსეთი ჩაერია მხოლოდ სომხეთის დამარცხების შემდეგ და „გადაარჩინა“ მხოლოდ ის ტერიტორიები, რომლებიც გადამწყვეტი იყო რუსი სამშვიდობოების დარჩენისთვის. სომხური საზოგადოება და ზოგიერთი პოლიტიკური პარტია დარწმუნებული იყო, რომ ომი დაიწყო და წააგო არა მხოლოდ სათანადო დიპლომატიის არარსებობისა და სომხეთის მთავრობის არასწორი მენეჯმენტის გამო, არამედ რუსეთის სურვილის გამო ეჩვენებინა სომხეთისთვის, რომ დემოკრატიული გზა, რომელიც

ქვეყანამ აირჩია, მომაკვდინებელია მისი უსაფრთხოებისთვის. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ჯარები შეიჭრნენ სომხეთის სუვერენულ ტერიტორიაზე 2021 წლის 12 მაისს და შემდეგ ასევე 2022 წლის 13-14 სექტემბერს, ამ ვარაუდებმა კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა, რადგან რუსეთმა და CSTO-მ ცოტა რამ ან სულ არაფერი გააკეთეს სომხეთის ბედისა და უსაფრთხოების მიმართ გულგრილობის ბრალდებების გასაქარწყლებლად. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთის, როგორც შუამავლის, პასიური როლი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში განპირობებულია იმით, რომ ის ახლა ზედმეტად დაკავებულია უკრაინის ომით და ამის შედეგად დაკარგა თავისი ძალაუფლება რეგიონში. ამ ატმოსფეროში მედიატორის ახალი როლი, რომელიც საქართველომ შეასრულა, შეიძლება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყოს რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში. ომის ტყვეების საკითხი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე საკითხია თავად ომის შემდეგ (თუ შეიძლება ითქვას, რომ ის დასრულდა, თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე სისასტიკეს, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევას და აზერბაიჯანის გაუთავებელ სამხედრო დანაშაულებს). საქართველოს პრემიერ-მინისტრის შუამავლობა, რომლის შედეგადაც 15 სომეხი ჯარისკაცი სამშობლოში დაბრუნდა, მართლაც მისასალმებელი იყო და ამან გააჩინა იმედი, რომ ამგვარი ქმედებები შეიძლება გაგრძელდეს.

საქართველოს ევროკავშირის შესაძლო კანდიდატი ქვეყნის ახალმა სტატუსმა და რეალური კანდიდატის სტატუსის ვერმიღებამ, უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, სომხეთში გააჩინა ვარაუდი, რომ ევროკავშირი არ არის დაინტერესებული სამხრეთ კავკასიის რეგიონით და რომ საქართველოს მოთხოვნა გადაიდო არა შეუსრულებელი მოვალეობების, არამედ გეოგრაფიისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ეს გავრცელდა კიდევ ერთი პოპულარული მოსაზრების პარალელურად, რომ თითქოს დემოკრატია და უსაფრთხოება ერთად ვერ მიიღწევა და ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი ამ ორს შორის. ეს უკანასკნელი დამოკიდებულება უკიდურესად გაძლიერდა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ და განსაკუთრებით 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. ყარაბაღის ომში წაგების კატასტროფული შედეგები, ასევე გაურკვეველი მოვლენები სომხეთში და მის გარშემო, შიდა ჭორები და ასევე ახალი ომის შესაძლებლობის შესახებ განუწყვეტელი დისკუსიები საზოგადოებას დაუცველობის

სტრესულ მდგომარეობაში აყენებს. ამდენად, ვადამდელი არჩევნები, რომელსაც ეს სტრესული პოლიტიკური ატმოსფერო უნდა განემუხტა, იყო მანიპულაციის მასიური წყარო დემოკრატიის მოწინააღმდეგე პარტიებისთვის. „მთავრობის დემოკრატიული პოლიტიკა იყო სომხეთის ყველა წარუმატებლობის მიზეზი, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე“: ეს იყო წინა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მთავარი არგუმენტი, რომელიც მიმართული იყო ფაშინიანის პარტიის წინააღმდეგ. ამ ცრუ დამოკიდებულებას გადამწყვეტი ზეგავლენა ჰქონდა მოქალაქეების საარჩევნო გადაწყვეტილებებზე. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც მოქალაქეებმა აირჩიეს 2020 წლის ყარაბაღის ომში დამარცხებული პოლიტიკური პარტია იმ ვარაუდით, რომ ამით ისინი გაიმარჯვებენ დემოკრატიის ფარგლებში. ამ ორის დიქოტომიის შესახებ დებატები კვლავ მიმდინარეობს სომხურ პოლიტიკურ დისკურსში. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის გაზრდილი ჩართულობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლობის პროცესში, ისევე როგორც ვაშინგტონის უპრეცედენტო აქტიურობა რეგიონში (ამის ნათელი დასტურია სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების წარმომადგენლების შეხვედრები, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრა ამერიკელ პარტნიორებთან, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის ვიზიტი ერევანში და ამერიკელების ხშირი სატელეფონო საუბრები სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან) ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობას დიქოტომიის შესაცვლელად. გარდა ამისა, თუ შესაძლებელი იქნება სომხეთის სამხედრო უსაფრთხოების სფეროში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა და აზერბაიჯანულ მხარეზე ზეწოლის მოხდენა, ქვეყანაში გაიმარჯვებს ახალი მოსაზრება, რომ „დემოკრატია ნიშნავს უსაფრთხოებას“. ამ შემთხვევაში სომხეთსა და საქართველოს ექნებათ ერთობლივი პერსპექტივა უსაფრთხოების საკითხებზე სომხეთის CSTO-დან გასვლის გარეშეც.

საზოგადოებები: სომხეთისა და საქართველოსთვის მათ მოსახლეობას შორის ურთიერთობა იყო და არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მნიშვნელობის მთავარი ნიშანი. ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება იქმნება როგორც საქართველოს სომხური თემის, ასევე ერთობლივი ისტორიისა და საერთო კულტურული და ცივილიზაციური ღირებულებების მეშვეობით.

არსებობს რამდენიმე მგრძნობიარე საკითხი, რომელიც ქმნის ფსიქოლოგიური დაძაბულობის ატმოსფეროს. სახელმწიფოთა პოლიტკორექტულობა ორივე ქვეყნის ისტორიაში და თანამედროვე დღეებში მნიშვნელოვანი და ტრაგიკული მოვლენების დროს - მართალია, მიღებული სათანადო გაგებით - ქმნის ველს, სადაც მცირე დეზინფორმაციაც კი შეიძლება გახდეს მასიური კრიტიკული ტალღის გამომწვევი მიზეზი.

სომხეთმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ისევე, როგორც საქართველომ ყარაბაღის მეორე ომის დროს, გაატარა თანაბარი დისტანცირების პოლიტიკა.

დეზინფორმაციის ეპოქაში და სხვადასხვა პროპაგანდისტული ინსტრუმენტის გამოყენების პირობებში არსებობს მიზანმიმართული კრიზისების დიდი რისკი, რომელიც შექმნილია როგორც ფაქტების შემოწმების მნიშვნელობის უგულებელყოფით, ასევე ურთიერთობების დესტაბილიზაციაზე მომუშავე გარე აქტორების მეშვეობით.

არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც ძალზე სარისკოა, თუ მათ უგულებელყოფენ და ახალი შესაძლებლობის აღმოცენებას დაელოდებიან:

- მათ შორისაა აზერბაიჯანის მიერ საქართველოს იარაღის ტრანზიტისთვის გამოყენება და რუსეთის მიერ რუსული სამხედრო ბაზის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ. ორივე მხარის ექსპერტებს შორის დახურული დისკუსიების დროს, ასევე სოციალურ მედიაში კატაკლიზმების დროს, ორივე ეს თემა რეგულარულად ხდება ერთმანეთის მიმართ უნდობლობის მთავარი მიზეზი. მცირეა იმის ალბათობა, რომ ეს ბრალდებები შეიძლება იყოს მართებული, მაგრამ სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსებში ეს თემები კვლავ ძალიან პოპულარულია.
- სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის გამოყენება რუსეთის მიერ საქართველოს დესტაბილიზაციისთვის კიდევ ერთი სენსიტიური თემაა სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირველი საერთაშორისო ვიზიტის დროს ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის სომხების მთავარი მისია იქნება საქართველოს კარგი

მოქალაქეობა და ამით სომხეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაში დახმარება, ჯერ კიდევ მიდის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ეროვნული აჯანყება, რომელსაც მხარს დაუჭერს და უხელმძღვანელებს რუსეთი. ამ ატმოსფეროში ნიკოლ ფაშინიანის ეთიკურმა შეცდომამ 2020 წლის ომის დროს, როდესაც მან "სამცხე-ჯავახეთის" სომხებს "ჯავახქის" სომხები უწოდა (რეგიონის სომხური სახელწოდება), ააგორა ანტისომხური ჭორების მნიშვნელოვანი ტალღა სოციალურ მედიაში.

ძლიერი ინსტიტუციური კავშირების შექმნა, მედიის უსაფრთხოების ერთობლივი პლატფორმის ჩამოყალიბება და მთავრობის საშუალო დონის წარმომადგენლების, ასევე ექსპერტთა საზოგადოების წევრების ინდივიდუალური თანამშრომლობის გაძლიერება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ინვესტიცია სომხეთ-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობაში და, შედეგად, რეგიონის მშვიდობაში.

ანა გევორგიან-დავთიანმა *2009 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი ირანისტიკაში ირანისტიკის კათედრაზე (აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი). 2009 წლის სექტემბრიდან არის ცივილიზაციისა და კულტურული კვლევების ცენტრის მკვლევარი. 2013 წელს ის იყო არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ტრანსფორმაციის სკოლის მოწვეული მეცნიერი. 2014 წლიდან ასწავლიდა უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრაზე. იყო თავდაცვის ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი და თანაავტორი. 2016 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ივნისამდე განახორციელა უწყებათაშორისი აღმასრულებელი კურსი სომეხი სამხედრო პირებისთვის. 2018 წლის ივნისიდან იგი მუშაობდა სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩევლად,თანამდებობა 2018 წლის დეკემბერში დატოვა. იგი ავტორია მრავალი სტატიისა თანამედროვე ირანის შიდა პოლიტიკის, სომხეთ-ირანის ურთიერთობების, რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე ქალთა საკითხებზე ირანში, ქალთა უფლებებზე ისლამში, გენდერულ საკითხებზე სომხეთში და ა.შ. ანა გევორგიან-დავთიანი ასევე არის წამყვანი და მიჰყავს გადაცემა საგარეო პოლიტიკაზე Boon TV-ზე.*

საქართველო და სომხეთი უსაფრთხოების ახალი გამოწვევების პირისპირ

დავით ბრაგვაძე

სამხრეთ კავკასია მშვიდობით არასოდეს ყოფილა განებივრებული, თუმცა ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები რეგიონის სახელმწიფოებს ახალი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე აყენებს.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა ყარაბაღის მეორე ომი და მისი შედეგი იყო. ყარაბაღის მეორე ომის შედეგები სრული კატასტროფა აღმოჩნდა სომხეთისთვის (თუმცა შეიძლებოდა უარესი შედეგებიც მიგვეღო). პარალელურად არ შემცირებულა მისი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციასთან, რადგან ერევნისთვის ყარაბაღის პრობლემა არ გამქრალა. სომხური საზოგადოება სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების, მათ შორის შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის რისკის, წინაშეც დადგა.

რუსეთის ფედერაციამ ქმედითი დახმარება არ აღმოუჩინა სომხეთს, როგორც თავის სტრატეგიულ პარტნიორს - პირიქით, ომი საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის გამოიყენა. ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განთავსება კრემლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რადგან ყარაბაღი იყო ერთადერთი პოსტსაბჭოთა კონფლიქტი, რომელშიც რუსეთი, როგორც სამხედრო ძალა, არ მონაწილეობდა. აზერბაიჯანი კი იყო სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც რუსი ჯარისკაცები არ იდგნენ.

აზერბაიჯანმა თავი წარმოაჩინა, როგორც ძლიერმა და ორგანიზებულმა სამხედრო ძალამ, რომელსაც საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალისმიერი მეთოდებით შეუძლია. ამავე დროს ალიევის რეჟიმმა პოზიციები გაიმყარა ქვეყნის შიგნით და დღეს სომხეთთან აგრესიულ პოლიტიკას ის მოქალაქეები უჭერენ მხარს, რომლებიც მის რეჟიმს არ ემხრობიან.

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომის შედეგად რეგიონში თურქეთი პირველად შემოვიდა, როგორც სამხედრო ძალა. ამავე დროს, თურქეთმა, რუსეთისგან განსხვავებით, თავი წარმოაჩინა, როგორც საკუთარი სტრატეგიული პარტნიორის საიმედო და ძლიერმა მოკავშირემ.

ირანი, რომელიც ამ კონტექსტში ყოველთვის სომხეთის მოკავშირედ აღიქმებოდა, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი დასავლური სამყაროც.

ყარაბაღის მეორე ომის შედეგებმა გამოწვევები გაზარდა საქართველოსთვისაც, რაც, პირველ რიგში, რეგიონში რუსეთის კიდევ უფრო გაძლიერებაში გამოიხატა. თბილისისთვის პრობლემას წარმოადგენდა ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების გამოჩენაც. ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო თვალსაზრისით, იმ პირობებში, როდესაც რუსეთს სრულად აქვს ოკუპირებული და მილიტარიზებული საქართველოს ორი რეგიონი და ამავე დროს ისედაც არსებობს მსხვილი რუსული სამხედრო ბაზა სომხეთის ტერიტორიაზე. რუსი სამშვიდობოების რეგიონში გამოჩენა საქართველოში უფრო მეტად სომხეთსა და აზერბაიჯანზე კრემლის ზეწოლის დამატებით ბერკეტად იქნა აღქმული.

ასევე გარკვეული უარყოფითი მოლოდინები არსებობდა აზერბაიჯანთან, ისედაც გაჭიანურებულ და რთულ მოლაპარაკებებში საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით. საბედნიეროდ, ეს პროცესი უარესი სცენარით არ განვითარდა, თუმცა ამ დრომდე არც რაიმე პოზიტიური შედეგი ყოფილა მიღწეული.

სხვა მხრივ საქართველომ შეძლო და ყარაბაღის მეორე ომის დროსაც შეინარჩუნა თავისი ტრადიციულად ჩამოყალიბებული, ნეიტრალური პოზიცია. თბილისის მხრიდან მოხერხდა გარკვეული პოზიტიური როლის შესრულებაც, განსაკუთრებით ტყვეთა გაცვლის საკითხში მედიაციის კუთხით. მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო ის ფაქტიც, რომ ისტორიაში პირველად სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ.

უსაფრთხოების გამოწვევები სომხეთისა და საქართველოსთვის კიდევ უფრო გაიზარდა უკრაინაში რუსული სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური თბილისის პოზიცია ამ აგრესიასთან დაკავშირებით არ შეესაბამება უკრაინის სტრატეგიული პარტნიორის ქცევას და მკაფიოდ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს.

საქართველოს ხელისუფლებამ ომის დაწყების დღიდან ჩათვალა, რომ რუსეთი სწრაფ და აბსოლუტურ გამარჯვებას მოიპოვებდა და საკუთარი რიტორიკაც სწორედ ამ პოზიციაზე ააგო. თბილისის რიტორიკა არც უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატებების ფონზე შეცვლილა. ამ პოლიტიკის ორი ყველაზე მკვეთრად უარყოფითი გამოვლინება რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკის ახალ სიმაღლეზე აყვანასა და ამ თემის შიდა პოლიტიკური კინკლაობისთვის გამოყენებაში გამოიხატა.

მმართველი პარტია ამ ტრაგიკულ ვითარებას იყენებს პოლიტიკური ოპონენტებისა და ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ. ოფიციალური სამთავრობო პროპაგანდის თანახმად, მმართველი პარტიის მხარდამჭერთა გარდა, საქართველოს ყველა მოქალაქეს ქვეყანაში ომის გაჩაღება და რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნა უნდა. ეს პროპაგანდისტული რიტორიკა გარდა იმისა, რომ მოქალაქეთა მიმართ შეურაცხმყოფელია, ქვეყანას მნიშვნელოვანი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშეც აყენებს.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამ ურთულეს დროს მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს და მოქმედების მწყობრი სტრატეგია არ გააჩნია. თბილისს არანაირი კონკრეტული ხედვა არ აქვს რუსეთის ფედერაციიდან სამხედრო მობილიზაციას გამოქცეული მოქალაქეების გაზრდილ მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებით. რუსეთის არგაღიზიანების მოტივით ის მათ უბრალოდ კარს უხსნის და ამტკიცებს, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. სინამდვილეში კი, ქვეყანას უფრო მწვავე უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე აყენებს, იქნება ეს ეკონომიკური, დემოგრაფიული, კრიმინოგენური, სოციალური თუ სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეებს უვიზოდ 360 დღე შეუძლიათ გაჩერება. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ნებისმიერი საზღვრის 1 საათით გადაკვეთის შემთხვევაში კი ეს ვადა თავიდან ერთვებათ.

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სომხეთიც. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მკაფიოდ იგრძნო მომენტი, როდესაც რუსეთს კავკასიისთვის არ სცალია და საკუთარი ინტერესების გატარებას აგრესიული მეთოდების გამოყენებით ცდილობს. ეს გამოიხატა ყარაბაღში ახალი დასახლებული პუნქტების

დაკავებაში, ისევე როგორც ლაჩინის კორიდორის მისი კონტროლის ქვეშ ვადაზე ადრე გადასვლაში.

ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა მიმდინარე წლის სექტემბერში, როდესაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მორიგი მასშტაბური სამხედრო ესკალაცია ვიხილეთ. ესკალაციის ეს ეპიზოდი გასცდა ყარაბაღის ტერიტორიას და უშუალოდ ორი სახელმწიფოს საზღვარზე გადმოინაცვლა. სომხური მხარის მტკიცებით, აზერბაიჯანულმა ნაწილებმა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს.

სომხეთის ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ მას უსაფრთხოების გარანტიები საერთოდ არ გააჩნია. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (კუხო), რომლის თავმჯდომარე ქვეყანაც ამ მომენტისთვის სომხეთია, უარს ამბობს მისი წევრი სახელმწიფოს დაცვაზე. კუხოს საკუთარი მანდატის აღსრულება არ შეუძლია და სომხეთს აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. პრინციპში, კუხოს უფუნქციობა ნათელი იყო ყარაბაღის მეორე ომის დროსაც, მაგრამ მაშინ თუ ჯერ კიდევ არსებობდა რაღაც ფორმალური საფუძველი, რომლის თანახმადაც კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმი ყარაბაღის ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა, ახლა ასეთი არგუმენტი არ არსებობს. იმ პირობებში, როდესაც აზერბაიჯანს აქვს დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები, ჰყავს ძლიერი არმია და საიმედო მოკავშირე თურქეთის სახით, სომხეთი თავისი სუსტი ეკონომიკითა და დასუსტებული არმიით მტრის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდა.

აზერბაიჯანის ამბიციები რუსეთის დასუსტების პირდაპირპროპორციულად იზრდება. დღეს მას მხოლოდ ყარაბაღის საკითხის სამუდამო გადაწყვეტა არ აინტერესებს. ალიევს სურს, მოიპოვოს კონტროლი სიუნიქის (ზანგეზურის) კორიდორზეც, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე გადის და ნახიჭევანის ექსკლავთან პირდაპირი დაკავშირების საშუალებას მისცემს.

ეს მოთხოვნა სომხეთისთვის სრულიად მიუღებელი და დამამცირებელია, შესაბამისად, მსგავს დათმობაზე არ მიდის. ალიევი კი შესაძლებლობის ფანჯრის გამოყენებას და შექმნილ ვითარებაში მაქსიმუმის მიღებას ცდილობს.

ცხადია, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს არც ყარაბაღი და იქ დარჩენილი სომხური მოსახლეობა, რომელსაც აზერბაიჯანის პოზიციების გაძლიერებასთან ერთად საკუთარ სახლებში დარჩენის შანსი სულ უფრო და უფრო შეიძლება შეუმცირდეს.

ამავე დროს, სომხეთი კიდევ ერთხელ დადგა შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე.

ასეთ ვითარებაში ერევანს სამი ურთულესი ამოცანა აქვს გადასაჭრელი:

1. იპოვოს გონივრული კომპრომისი სიუნიქის დერეფანთან დაკავშირებით, რომელიც არ იქნება დამამცირებელი მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის და, ამავე დროს, საკმარისი იქნება აზერბაიჯანის აგრესიული ქმედებების შესაკავებლად.
2. შეინარჩუნოს ყარაბაღის სომხური მოსახლეობა და უზრუნველყოს მისი უსაფრთხოების გარანტიები.
3. თავიდან აირიდოს შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია.

სამივე საკითხი მკვეთრად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან და რომელიმე ერთის მოგვარება ცალკე ვერ მოხდება. სომხეთს გაუჭირდება საკუთარი ინტერესების დაცვა, თუ ასეთ რთულ ვითარებაში საზოგადოება მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებას დაუჭერს მხარს. იმის მიუხედავად დღეს ვინმეს ფაშინიანი მოსწონს თუ არა, ის დღეს საჭიროა სომხური სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. მან მოახერხა და ურთულეს ვითარებაში, წაგებული ომის შემდეგ, ხელახალი ნდობის მანდატი მიიღო მოსახლეობისგან. ამ ვითარებაში, ომში მყოფი ქვეყნისთვის შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია და რევოლუციური სცენარები სომხეთისთვის სასურველი შედეგების მიღწევის ალბათობას პრაქტიკულად ნულს უტოლებს.

სიუნიქის კორიდორის საკითხზე შეთანხმების მიღწევა გარკვეული გარანტია იქნება ყარაბაღის სომხური მოსახლეობის უსაფრთხოებისთვისაც. თუმცა როგორ უნდა მოხდეს ეს?

ბევრი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ დღეს აზერბაიჯანი, როგორც ენერგორესურსების ალტერნატიული წყარო, დასავლეთს

განსაკუთრებით სჭირდება. შესაბამისად, დასავლეთი მის მიმართ შედარებით ლოიალური იქნება. ეს მოსაზრება სწორიცაა და მცდარიც. დიახ, დასავლეთს აზერბაიჯანი ამ მიზნით ნამდვილად სჭირდება, თუმცა ძნელად სავარაუდოა, ის შემწყნარებელი იყოს სომხური ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის მიმართ, როცა გაცილებით საჭირო და ძლიერ რუსეთს სანქციების უმკაცრეს რეჟიმს უწესებს. ამავე დროს, ეს საჭიროება ორმხრივია. აზერბაიჯანსაც სჭირდება დასავლეთი საკუთარი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისთვის, ამიტომ ალიევი ამ სახის კონფრონტაციაზე წასვლას მოერიდება.

ალიევი პრაგმატული პოლიტიკოსია და დღეს თავისი უპირატესობის მიუხედავად, კარგად იცის, რომ ყოვლისშემძლე არ არის. აზერბაიჯანის ლიდერს კარგად ესმის საკუთარი შესაძლებლობების ლიმიტები და, შესაბამისად, ყოველთვის მოერიდება ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მას ამ უპირატესობას დააკარგვინებს. ასეთი ნაბიჯი ნამდვილად იქნება დასახლებული პუნქტების სამხედრო ოკუპაცია სომხეთის რესპუბლიკის სუვერენულ ტერიტორიაზე. ამის გათვალისწინებით, ალიევი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს. თუმცა ეცდება, შექმნილ ვითარებაში მაქსიმუმი მიიღოს.

ასეთი მაქსიმუმი შეიძლება იყოს სიუნიქის კორიდორის ამოქმედება საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებით. ეს იდეა ბევრს შეიძლება უტოპიურად მოეჩვენოს, მაგრამ ზუსტად ამ სტატიის წერის დროს გაჟღერდა ნიკოლ ფაშინიანის ინიციატივა სომხეთ აზერბაიჯანის საზღვარზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განთავსებასთან დაკავშირებით. ამ იდეის განხილვის შესაძლებლობა მანამდე ჩემს სომეხ კოლეგებთან მქონდა.

მიმაჩნია, რომ კორიდორის გახსნა საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებით, იქნება ეს გაერო, ეუთო, ევროკავშირი თუ რომელიმე სხვა ორგანიზაცია, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს აზერბაიჯანის ამბიციებს, მეორე მხრივ კი, არ იქნება დამამცირებელი სომხეთისთვის. ამავე დროს, მსგავსი ფორმატი გაზრდის სომხეთში დასავლეთის ჩართულობას და მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსულ გავლენებს.

პარალელურად, სომხეთს სჭირდება საკუთარი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დივერსიფიკაცია. ათწლეულების განმავლობაში რუსეთთან

დამყარებული კავშირების ერთ დღეში გაწყვეტა არ გამოვა. ამ მხრივ, არც კუხოდან დაუყოვნებლივი გამოსვლაა გამოსავალი და არც მოთხოვნა გიუმრიდან სამხედრო ბაზის გაყვანის თაობაზე (მით უმეტეს, რომ ბაზას მანდატი 2059 წლამდე აქვს გაგრძელებული). შექმნილ ვითარებაში ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. თუმცა სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით დასავლეთით, კავშირების გაძლიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დასავლეთს აქვს ინტერესები სომხეთში და ამავე დროს, არსებობს მის მიმართ გარკვეული თანაგრძნობა. ამის მკაფიო დადასტურება სპიკერ ნენსი პელოსის ვიზიტიც იყო, რომელმაც ესკალაციის ბოლო ეტაპის ნეიტრალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

შექმნილ ვითარებაში სომხეთის სტაბილურობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს თურქეთთან და აზერბაიჯანთან, სომხეთის როლი უმნიშვნელო ნამდვილად არ არის. საქართველოს ოთხი სახმელეთო მეზობლიდან სამს მკვეთრი ავტორიტარული მისწრაფებების ლიდერები მართავენ. თავად საქართველოს მძიმე კრიზისი აქვს პოლიტიკაში პოლიტიკოსების სრული არარსებობის გამო. ამ ფონზე ნიკოლ ფაშინიანი რეგიონის ერთადერთი დემოკრატიული ლიდერია. სომხური დემოკრატიის გადარჩენა, მით უმეტეს თუ ერევანი შეძლებს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას და დასავლეთთან კავშირების გამყარებას, ძლიერი სტიმული იქნება საქართველოში დემოკრატიული პროცესების შემდგომი განვითარებისთვისაც.

დავით ბრაგვაძე *არის ანალიტიკოსი, ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტი და საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის (GISP) დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. ორგანიზაცია (GISP) ორიენტირებულია ნდობის აღდგენის, ეროვნული უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზზე. 2014 წლიდან 2019 წლამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში და 2016 წლიდან მუშაობდა ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორად. 2011 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანამედროვე ისტორიის სპეციალობით (მაგისტრატურა). ამჟამად არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი. მისი სწავლის ძირითადი სფეროა ცივი ომის ბოლო ათწლეული და აშშ-სსრკ მოლაპარაკებები. დ. ბრაგვაძე მუშაობდა*

მოწვეულ ლექტორად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში და კავკასიის უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე, პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, პოლიტიკური აზროვნების ისტორიაზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

სომხები და ქართველები – საზოგადოება და ინდივიდები 2022 წლის ახალ რეალობაში

ეროვნული უმცირესობების არსებული მდგომარეობა და გამოწვევები საქართველოში
შორენა კობაიძე

ისტორიულად საქართველო მრავალი განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის სამშობლოა. 2014 წელს ჩატარებული უახლესი აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები შეადგენენ მოსახლეობის 13,2%-ს, ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფია აზერბაიჯანელები (6,3%) და სომხები (4,5%). სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ერთად შეადგენენ მოსახლეობის 2,4%-ს, მოიცავს ოსებს, რუსებს, ბერძნებს, ქურთებს, ასურელებს, ჩეჩნებს (საქართველოში ასევე ცნობილია, როგორც ქისტები), ებრაელებს, უკრაინელებს, პოლონელებს და სხვ.[5] აზერბაიჯანელები და სომხები ძირითადად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ცხოვრობენ. თუმცა, ისინი ასევე კარგად არიან წარმოდგენილნი კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში და ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში.



5 GeoStat, Total population by region and etnicitiy (http://census.ge/en/results/census1/demo).

ეთნიკური უმცირესობების პოპულაციათა მიგრაციის დინამიკა 1989-2014 წლებში

დამოუკიდებლობის დღიდან საქართველომ, როგორც ქვეყანამ, მიაღწია პროგრესს ისეთი პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც ხელს შეუწყობს უმცირესობების ჩართულობას. მაგრამ, მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, რომელიც მიმართულია უმრავლესობა ეთნიკურ ქართველებსა და უმცირესობებს შორის უფსკრულის შესამცირებლად, შედეგები არ არის ცალსახა. ეთნიკური უმცირესობების აბსოლუტური უმრავლესობა თავს მარგინალიზებულად გრძნობს, როგორც ქართული საზოგადოების წევრი. საქართველოში გადაწყვეტილების მიმღებთათვის პოპულარულია იმის დაჯერება, რომ არაეთნიკური ჯგუფების ეკონომიკური კეთილდღეობის უთანასწორობის დაძლევის მთავარი გამოწვევა ენაზე მოდის. უმცირესობის წარმომადგენელთა უმრავლესობის მიერ ქართული ენის არცოდნა, იზოლაცია და უმცირესობების სპეციფიკური საზრუნავის სისტემატური იგნორირება ხელს უშლის საქართველოში მათ სრულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინტეგრაციას. ეთნიკურ ქართველებს შორის არგუმენტი არის ის, რომ მიუხედავად უმცირესობებისათვის შემოთავაზებული ენის კურსების მრავალრიცხოვანი შესაძლებლობისა, ისინი უბრალოდ არ არიან დაინტერესებულნი სწავლით. ტვირთი აშკარად ეკისრება უმცირესობებს.

საბჭოთა კავშირის დროს ეროვნულ უმცირესობებს შეეძლოთ ე.წ. „უმცირესობათა სკოლებში“ სწავლა, სადაც ქართული ენა მხოლოდ ცალკე საგნად ისწავლებოდა და სწავლება მიმდინარეობდა მშობლიურ ენაზე. ამან, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით აზერბაიჯანელების ქვემო ქართლში და სომხების სამცხე-ჯავახეთში, იზოლაციას; ორი რეგიონი, სადაც ეს უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულნი. დამოუკიდებლობის მრავალი წლის შემდეგაც კი, საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ძირითადად ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, დღემდე არ ფლობს სახელმწიფო ენას. ქართული ენის თავისუფლად ფლობა უმცირესობებს შორის კონცენტრირებულია დედაქალაქში და ქვეყნის სხვა რეგიონებში, სადაც შერეული მოსახლეობაა, ხოლო უფრო შორეულ რეგიონებში, სადაც მონოეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ენის სრულყოფილად ცოდნის დონე უფრო დაბალია. ქვემო ქართლში

მცხოვრები აზერბაიჯანელების დაახლოებით 82%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში სომხების 71% თავისუფლად ვერ ლაპარაკობს ქართულად.[6]

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულმა ე.წ. „1+4“ პროგრამამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს განათლების სისტემაში ჩართვაზე. მის დაწყებამდე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი შედიოდა. პროგრამა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ერთი, ზოგადი უნარების, გამოცდის ჩაბარებით მშობლიურ ენაზე. ყოველწლიურად მთავრობა 100-მდე ეთნიკურ სომეხსა და 100 ეთნიკურ აზერბაიჯანელს უნიშნავს სტიპენდიას ქართული ენის შესასწავლად ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური ენობრივი პროგრამის დახმარებით. ენის გამოცდის ჩაბარების შემდეგ სტუდენტები აგრძელებენ სწავლას ბაკალავრიატის დონეზე. „1+4“ პროგრამაში მონაწილეობს ქვეყნის ზოგიერთი ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავდაცვის ეროვნული აკადემია და შინაგან საქმეთა აკადემია (პოლიციის აკადემია).

მიუხედავად იმისა, რომ „1+4“ პროგრამა დიდწილად წარმატებულად ითვლება, სხვადასხვა რესურსი მიუთითებს, რომ პროგრამა ვერ ახორციელებს ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს – ხელი შეუწყოს სხვადასხვა ფენის სტუდენტების ინტეგრაციას. პროგრამის საწყის ეტაპზე კლასები იყო სეგრეგირებული ეთნიკური ნიშნით, რათა თავიდან აეცილებინათ პოტენციური კონფლიქტები ეთნიკურ სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ ეტაპზე შეიქმნა ეთნიკურად განსხვავებული კლასები, ორ ჯგუფს შორის ურთიერთქმედება და სოციალიზაცია შეზღუდული რჩებოდა. საჯარო მოხელეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით მთავრობის ზომებთან და ზოგადად განხორციელებულ

6 GeoStat, Total population by region and etnicitiy (http://census.ge/en/results/census1/demo).

პოლიტიკასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს მათ შორის თანხმობის ნაკლებობას, თუ როგორ ექცევიან მოქალაქეებს და როგორ ხდება უმცირესობა-უმრავლესობის უთანასწორობის პრობლემის გადაჭრა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ უმცირესობების პირველადი ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის რა მტკიცებულებები არსებობს, არასრულია. საქართველოს მთავრობა ცენტრალურ დონეზე ყურადღებას ამახვილებს რეგიონული მონაცემების შეგროვებაზე და არ ანაწილებს მონაცემებს ეთნიკურობის მიხედვით. ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ საშუალება, უნარები ან მოტივაცია, რომ შეაგროვონ ეს ინფორმაცია რაიმე სისტემური გზით. სანდო მონაცემების ნაკლებობა წარმოადგენს პრობლემას ეთნიკური და/ან რელიგიური უთანასწორობის გასაგებად, აფერხებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და შესაძლოა გაამწვავოს დაუცველობა კრიზისის დროს. უფრო მეტიც, როგორც წესი, არ ხორციელდება შეფასებები რეგიონულ დონეზე ადგილობრივი საჭიროებებისა და პრობლემების გამოსავლენად და არც სახელმწიფო სერვისების მიწოდების შესახებ მოქალაქეთა კმაყოფილების გამოკითხვები ტარდება. მრავალფეროვნების მართვისა და უმცირესობებისადმი მგრძნობიარე ანგარიშგების დაგეგმვის მცდელობებს არ გააჩნია მტკიცებულებები იმის დასადგენად, ეფექტურია თუ არა უმცირესობების გამოწვევებზე და უთანასწორობაზე რეაგირების გადაწყვეტილებები და რეალურად მოგვარებულია თუ არა უთანასწორობა, რომელსაც აწყდებიან უმცირესობები.

გარდა ამისა, ხშირია ეთნიკურ ქართველებს შორის უმცირესობების მიმართ ნდობის ნაკლებობა იმ მოსაზრებებით, რომ უმცირესობებს არ აქვთ იგივე ღირებულებები და მისწრაფებები, ამიტომ ისინი ხშირად არიან წარმოჩენილნი, როგორც პოტენციური საფრთხე ან მეორეხარისხოვანი მოქალაქეები. ენის ფლობის დისბალანსის გარდა, უთანასწორობა ასევე უარყოფით გავლენას ახდენს სოციალურ ერთიანობაზე. უმცირესობების მოსახლეობისთვის პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კვოტები არ არსებობს. ეთნიკური უმცირესობები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებაში. აქტიური ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, ძირითადად, რესურსების ქრონიკული ნაკლებობის გამო, არასოდეს ახორციელებს საკმარის „ინვესტირებას“ ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობასთან დაკავშირებულ რეგიონებში.

შედეგად, საქართველოს ეროვნული უმცირესობები რჩება ნაკლებად წარმოდგენილი და მათ აქვთ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. არც საქართველოს პარლამენტი და არც საქართველოს პოლიტიკური პარტიები ასახავენ ადეკვატურად ეროვნული უმცირესობების მოსახლეობის წილს მათ შემადგენლობაში და, შესაბამისად, არ გააჩნიათ პოლიტიკა, რომელიც ეფექტურად გადაჭრის საკითხებს, რომლებიც სისტემატურად აწუხებს ეროვნულ უმცირესობებს. არც პოლიტიკური პარტიები ინვესტირებენ საკმარის დროს ან ძალისხმევას სისტემების და ქსელების შესაქმნელად, რათა გააუმჯობესონ საკუთარი ორგანიზაციული წარმომადგენლობა ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში. ამ მიზეზით გროვდება მრავალი ეთნიკური, ეროვნული და პოლიტიკური საზრუნავი და, მათი პოლიტიკური გამოვლინებისთვის ეფექტური ინსტიტუტების არარსებობის გამო, ეს შეშფოთება იზრდება და იწვევს პრობლემებს, რომელთა მოგვარება ძნელია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების პოლიტიკური მონაწილეობის შეუძლებლობის და პოლიტიკური გამოხატვისა და ჩართულობის პლატფორმების სიმცირის პირობებში.

არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ბოლოდროინდელ კვლევებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმცირესობების დამოკიდებულება პარტიული კუთვნილებისადმი მიდრეკილია მმართველი პარტიის მხარდაჭერის შემცირებისკენ, რაც ეწინააღმდეგება ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში გაბატონებულ სტერეოტიპს, რომ უმცირესობები ყოველთვის ხმას აძლევენ მოქმედ პარტიას.[7] მრავალრიცხოვანი ანგარიშებისა და კვლევების შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა პოლიტიკაში კანდიდატების, ამომრჩევლებისა თუ აქტივისტების სახით შეზღუდულია საქართველოში. გავრცელებულია მოსაზრება, რომ საშინაო პოლიტიკის შესახებ უმცირესობების ენებზე არსებულ ინფორმაციასა და საკითხებზე შეზღუდული წვდომა გავლენას ახდენს არჩევნებში ჩართვის შესაძლებლობაზე. უმცირესობები მონაწილეობენ პროცესში, როგორც ამომრჩევლები და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, მაგრამ ძალზე შეზღუდულია უმცირესობების ჩართულობა პარტიული პროგრამების ჩამოყალიბებაში,

7 Competing for Votes of Ethnic Minorities in Georgia: The 2017 Local Elections, Centre for the Studies of Ethnicity and Multiculturalism, 2018, Levan Kakhishvili.

ასევე უმცირესობების კანდიდატებად წარდგენაში. პარტიების მიდგომები ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებთან მიმართებაში ხასიათდება, როგორც ზედაპირული, ხშირად ფოკუსირებულია ენის სწავლებაზე და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, მაგრამ უგულებელყოფს თემების ჩართულობას მნიშვნელოვან პროცესებში.[8]

ბოლო წლებში შეიმჩნევა შეუწყნარებლობის ზრდა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის, განსაკუთრებით ქრისტიანულ და მუსლიმურ მოსახლეობაში. ასევე დაფიქსირდა აშკარა დაძაბულობის რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან ზოგიერთი ძალადობრივიც კი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის გაზრდილ ძალადობას, სიძულვილის ენის ზოგიერთ შემთხვევას, რომელიც ძირითადად შეუმჩნეველი დარჩა, ასევე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის მიმართ. ხშირია შემთხვევები, როდესაც უმცირესობების კომპაქტური დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტებში გარკვეული ჯგუფების მობილიზება ხდება ადგილობრივი მოსახლეობის რადიკალიზაციისა და რეგიონში სეპარატიზმის მხარდასაჭერად. მედიაში შეიმჩნევა სენსაციური სიუჟეტებით ნეგატიური სტერეოტიპების განმტკიცების ტენდენცია. ეს სიუჟეტები სახავს სომხებს, როგორც სეპარატისტებს ან რუსეთის მხარდამჭერებს, როგორც წესი, საქმის ფაქტების სრულად გამოძიების გარეშე. ეთნიკური სომხების შესახებ ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპი არის ის, რომ მათ არ აინტერესებთ ქართული ენის შესწავლა და უარს ამბობენ ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობაზე. სეპარატიზმის ბრალდებების გარდა, საქართველოში ზოგიერთი არმენოფობიური ჯგუფი ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს სომხები ქართული კულტურის ასპექტებს სომხურად აცხადებენ და ჰყავთ მდიდარი საერთაშორისო ლობისტები დასავლეთში.

უმცირესობათა კომპაქტური დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურა ცუდად არის განვითარებული. ეთნიკური მოსახლეობის მქონე სოფლებში უფრო ხშირად პრიორიტეტულია თემის ძირითადი საჭიროებები, მაშინ, როცა ეთნიკური უმრავლესობით

8 Integration of National Minorities in Georgia, Netherlands Institute for Multiparty Democracy, 2017.

დასახლებული ტერიტორიები პრიორიტეტს ანიჭებენ დონორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას და დაყოფას, ითვლება, რომ უმცირესობები ზარალდებიან მიწების უსამართლო განაწილებით. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც უმცირესობები ჩიოდნენ სარწყავ სისტემაზე წვდომის ნაკლებობის გამო და ა.შ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნიკური სომხები ხშირად აღნიშნავენ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე კონტაქტებისა და ქსელების ნაკლებობას, რაც აფერხებს მთავრობისგან უფრო დიდი რესურსების მოზიდვისა და დახმარების პროცესს. სოფლის მეურნეობის სფეროდან ყოველწლიურად ბევრი მამაკაცი მიდის სხვა ქვეყნებში სამუშაოდ, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან არ აქვთ ოჯახის სარჩენად საკმარისი შემოსავალი. ეთნიკურად სომეხი უმცირესობების წარმომადგენელი მამაკაცები მიგრაციაში მიდიან რუსეთსა და სომხეთში, სადაც მათ შეუძლიათ ისაუბრონ ადგილობრივ ენებზე. უმეტესობა მიდის წელიწადში დაახლოებით ექვსი თვით სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სფეროში სამუშაოდ, სადაც იმაზე მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე საქართველოში. სამცხე-ჯავახეთიდან ეთნიკური სომხების დაახლოებით ორი მესამედი მიგრირებს რუსეთში, დანარჩენი კი სომხეთში.[9] ბევრ ეთნიკურ სომეხს აქვს რუსეთის მოქალაქეობა, რაც მიგრაციას ლეგალურად აქცევს და უმცირესობათა ფერმერების უმეტესობამ იცის რუსული, ამიტომ მათ შეუძლიათ ადგილობრივ ენაზე კომუნიკაცია. უმცირესობათა რეგიონებიდან ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ეძებენ სამუშაოს ოჯახური მეურნეობის მიღმა, მომსახურების ინდუსტრიაში, მათ შორის ტურიზმის სექტორში. თუმცა, ზოგიერთის ქართული ენის ცოდნა, ინფორმირებულობა სხვა პოტენციურ შესაძლებლობებზე არ ათავისუფლებს მათ სხვადასხვა ფაქტორისგან, რომლებიც გავლენას ახდენს მათ მონაწილეობაზე სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვებში. უთანასწორობა, რომელიც აფერხებს უმცირესობათა ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერებას ამ რეგიონებში, მოიცავს უმეტესად ხელმისაწვდომობის საკითხებს და ხშირად ცენტრალიზებული სამთავრობო სტრუქტურების მიერ ზემოდან კონტროლს. ზოგიერთი ახალგაზრდა თვლის, რომ რესურსებზე წვდომა, მათ შორის საჯარო სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე, სამუშაო შესაძლებლობები და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის

9 Chai Khana, “Armenians Seasonal Matriarchy in Georgia.” https://chai-khana.org.

პროგრამები, შეზღუდულია პოლიტიკური ძალაუფლების დინამიკით და გაბატონებული დამოკიდებულებით. შორეული მუნიციპალიტეტებიდან ახალგაზრდები ხშირად მიდიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სწავლის გასაგრძელებლად და იშვიათად ბრუნდებიან. სომხეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ ბევრი ახალგაზრდა არ ბრუნდება საქართველოში.

ქვეყანაში უმცირესობების წინაშე მდგარი გამოწვევები და უთანასწორობა ხშირად აყენებს მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში ეთნიკური ქართველების უმრავლესობასთან შედარებით. ეს მწვავდება, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირები ახორციელებენ პოლიტიკას ცალკეული მონაცემების გარეშე და საერთო სტერეოტიპებზე დაყრდნობით და როდესაც უმცირესობებს არ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება ან არ აქვთ პოტენციურ დახმარებაზე წვდომა. ასეთი ფაქტორები ხელს უწყობს უმცირესობების გამიჯვნას ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებისა და განვითარების შესაძლებლობებისგან. ეს ასევე ხელს უწყობს გარიყულობის გრძელვადიანი ციკლების შექმნას, სადაც უმცირესობებს აქვთ განათლების დაბალი დონე, სუსტი პოლიტიკური წარმომადგენლობა და მცირე შემოსავალი. მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო ინიციატივისა, როგორიცაა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მიღება,[10] კომუნიკაცია სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფებსა და უმცირესობასა და უმრავლესობას შორის, რჩება შეზღუდული და ამ საკითხის გადასაჭრელად განსაკუთრებული პრაქტიკული ან ეფექტური ჩარევა არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის არცოდნას ხელისუფლება ხშირად ასახელებს მთავარ პრობლემად, იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს ენობრივი ბარიერი, უმცირესობათა ჯგუფების ფაქტობრივი ჩართულობა და მონაწილეობა მაინც შეზღუდულია. ეს გამოწვეულია უმცირესობათა თემების იზოლაციისა და პოლიტიკური პროცესებიდან სისტემატური გარიყულობის ხანგრძლივი ისტორიით.

არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და მძაფრი ეთნიკური განხეთქილება აძლიერებს სოციალურ-ეკონომიკურ შეშფოთებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სახელმწიფოების, პოლიტიკური

10 State Strategy for Civic Equality and Integration and Action Plan - SMR.GOV.GE - Offce Of The State Minister Of Georgia For Reconciliation And Civil Equality.

ელიტებისა და სხვათა ჩართვაზე და შერიგებაზე ფოკუსირებამ გამოიწვია რეგიონის უდიდესი აქტივების – მრავალფეროვნების უპირატესობის უგულვებელყოფა. მნიშვნელოვანი ნაბიჯი შერიგებისა და ინტეგრაციისკენ არის უმცირესობების მოსახლეობის ეთნიკური მემკვიდრეობისა და ეკონომიკური პოტენციალის აღიარება, ისევე როგორც იმის გაგება, რომ ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია, თუ სტრუქტურული უთანასწორობა აღმოიფხვრება. გადაწყვეტილების მიმღებები ხშირად ვერ აცნობიერებენ უმცირესობების მოსახლეობის პრობლემებსა და გამოწვევებს, რადგან ისინი არ იღებენ კონსულტაციას ამ ჯგუფებისგან. მაგალითად, იდენტობამ საქართველოში, რომელიც განისაზღვრება სამშობლოსადმი კუთვნილებით, მშობლიური ენითა და რელიგიური მიკუთვნებით, შექმნა უმრავლესობა-უმცირესობის ურთიერთობების გარშემო მენტალიტეტი – „ჩვენ მათ წინააღმდეგ“. საუკეთესო შემთხვევაში, ეს დამოკიდებულება უგულვებელყოფს მრავალფეროვნებას; უარეს შემთხვევაში, ის განიხილავს უმცირესობებს, როგორც უსაფრთხოების ან სოციალურ საფრთხეს, რაც უმცირესობების მეტ მარგინალიზაციას იწვევს და აყენებს მათ ღრმა ცრურწმენებისა და მიკერძოებების, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და ნაციონალიზმის წინაშე.

ეკონომიკური მოგება სათანადოდ არ გადაიზარდა უფრო დიდ კეთილდღეობაში და თანაბარ შესაძლებლობებში ყველა ჯგუფისთვის. კრიზისების დროს, როდესაც ღარიბი და მარგინალიზებული თემები დგებიან გაღარიბების და კიდევ უფრო მეტი მარგინალიზების რისკების წინაშე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაძლიერებული და უფრო სამართლიანი ეკონომიკური და სოციალური მობილურობა, დანაწევრებული მხარეებისა და მოსახლეობის კონსოლიდაცია რეგიონში. სამშვიდობო პროცესების განვითარებასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღიარება და მოხსნა საჭიროებს მთავრობების უფრო მეტ ძალისხმევასა და ერთგულებას, სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისგამოყენებას, ხალხთაგაერთიანებას, თანასწორობის ხელშეწყობას, სამუშაო ადგილებსა და ძირითად სერვისებზე თანაბარ წვდომას უმცირესობის ან უმრავლესობის წარმომადგენლისთვის. შემდგომში ამ გადამწყვეტი ძალისხმევის მიმართვა პოლიტიკისა და რესურსების განაწილებაზე გულისხმობს სამხრეთ კავკასიის ეთნიკურად მგრძნობიარე ლანდშაფტის ნარატივების შეცვლას.

შორენა კობაიძე *კობაიძეს აქვს 15 წლიანი გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის სფეროში. იგი ზედამხედველობდა და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდა საინტეგრაციო პროგრამებს, მათ შორის მჭიდროდ თანამშრომლობდა რიგ სახელმწიფო ინსტიტუტებთან. შორენა კობაიძე ეხმარება სახელმწიფო მოხელეებს თავიანთი უნარების, ცოდნისა და პრაქტიკის გაზრდაში უმცირესობების საკითხებისა და მრავალფეროვნების მართვის მიმართულებით. მას აქვს განსაკუთრებული ცოდნა USAID-ის, ევროკავშირის და სხვა დონორთა საქმიანობის შესახებ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების და სხვა სოციალურად გარიყული ჯგუფების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ინტეგრირებაზე. 12 წელზე მეტი ხნის გამოცდილებით, ის მჭიდროდ თანამშრომლობს ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს შორის შესაბამისი პოლიტიკის ეფექტური კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხელშეწყობას. შორენა კობაიძეს აქვს კავშირების ფართო ქსელი და კარგად ესმის საქართველოს განვითარების ლანდშაფტი.*

ეროვნული უსაფრთხოება და საფრთხეში მყოფი ეროვნულობა
არმენ ოჰანიანი

დღეს სომხეთის მოსახლეობა კარზე მომდგარი უბედურების მოლოდინში ცხოვრობს, ისტორიის კარადიდან გამოცვენილი ჩონჩხების შიშში.

უფრო სწორად, მოახლოებული უპრეცედენტო კატასტროფის მოლოდინში, რადგან უბედურების მოლოდინი ჩვეულებრივი მდგომარეობაა სომხურ კონტექსტში, ხოლო ზემოაღნიშნული ჩონჩხები ადრეც თვალს უკრავდნენ სომხებს – წარსულის დაუხურავი კარიდან.

დღევანდელი სომხეთის მოქალაქის სულიერ მდგომარეობას „უპრეცედენტოს“[11] ხდის ის ფაქტი, რომ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში უწყვეტად მომუშავე – „დაილოცოს ის საათი, როცა რუსის კურთხეული ფეხი სომხების სამყაროში შემოვიდა“[12] – მეგა-ნარატივი აღარ მუშაობს, მაგრამ საბოლოოდ არ დანგრეულა, რამაც საზოგადო ცნობიერებაში კოგნიტური დისონანსი გამოიწვია. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, რუსეთის იმპერიის რეგიონში შემოჭრის გამო, კოლონიალური / პოსტკოლონიალური / საბჭოთა / პოსტსაბჭოთა სომხებისთვის, რუსი იყო „მხსნელი“, გარკვეული გაგებით, უსაფრთხოების გარანტი, „უფროსი ძმა“, ხოლო მტრულად განწყობილი „სხვა“ ჯერ სპარსელი იყო, შემდეგ თურქი (განსაკუთრებით სომეხთა გენოციდის შემდეგ მარადიული მტრის სტატუსით). ეს ნარატივი უწყვეტად მუშაობდა, როგორც დოგმა და იდენტობის ქვაკუთხედი. უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბაღის მოძრაობაც კი, რომელიც ანტისაბჭოთად იყო აღქმული, არ გადაიზარდა ანტირუსულობის ტალღაში, არამედ, პირიქით, მისმა ახალმა „ნაციონალიზმმა“ საბოლოოდ მიიყვანა „თურქისგან“ და არა „რუსისგან“ თავის დაღწევის ძველ ლოგიკასთან (ახალდამოუკიდებელ სომხეთში ეროვნული იდენტობის დამკვიდრების სამიზნე „სხვა“ – ამჯერად ის აზერბაიჯანელი გახდა, ვისი გათურქებითაც სომხები აღმოჩნდნენ მათსავე ამოთხრილ ორმოში, ისტორიულად უკვე მეორედ).

---

11 სიტყვის არჩევა მწარე ხუმრობაა, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას უყვარს სიტყვის „უპრეცედენტო“ უადგილოდ გამოყენება.

12 ციტატა მოყვანილია ხაჩატურ აბოვიანის რომანიდან „სომხეთის ჭრილობა“ , სადაც იგი მიესალმა მეფის რუსეთის ჩამოსვლას რეგიონში ქრისტიანების, მათ შორის სომხების, მუსლიმთა უღლიდან გასათავისუფლებლად.

საყოველთაო სასოწარკვეთა, ეროვნული სურვილებისა და ოცნებების ნგრევის ფონზე, არ აძლევს საშუალებას დაძლიოს ის ტრავმები, რომლებიც საუკუნეზე მეტია ფენა-ფენა დაგროვდა და მოუშუშებელი დარჩა. რამდენადაც არ უნდა ცდილობდნენ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ლოზუნგის „ცხოვრება გრძელდება“ გამოყენებას, დღის ბოლოს ისინი მარტო რჩებიან, თავიანთ ოთხ კედელში, წარსულის კარადიდან გადმოცვენილი დადევნებული ჩონჩხებით. რა არის ეს ჩონჩხები და რატომ არიან ისინი ამდენად საშიში, რომ რიგით სომეხ მოქალაქეში იდენტურობის ღრმა კრიზისს იწვევენ?

ჩონჩხები ბევრია, მაგრამ მათგან სამს შევეხებით: გაკულაკების შიში, ასიმილაციის შიში და განადგურების შიში, რომლის საფუძველი დაუძლეველი ეროვნული უბედურებებიდან მომდინარე დიდი საერთო ეროვნული ფობია – *თურქოფობიაა*. ასიმილაციის შიში უფრო მეტად ახასიათებს სომხურ დიასპორას, რომლის ტრადიციული საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სომხური საკითხის *(ჰაი დატის)* გარდა „სომხურობის დაცვის“ მიმდევრობაა. თუმცა, დემოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე (სომხეთში 2,5 მილიონი სომეხი ცხოვრობს, საზღვარგარეთ კი სულ მცირე 3-ჯერ მეტი), ამ უზენაესმა „სომხურმა“ შიშმა მონოეთნიკურ სომხეთშიც „შეაღწია“. შიშის გამწვავება გულისხმობს, რომ სომხეთში ჩამოვა მრავალი სხვადასხვა ენის, რელიგიისა და ეროვნების სომეხი და მცირერიცხოვანი სომხობა მყისვე „გაირყვნება“, დაივიწყებს ენას, რელიგიას, კულტურას, გათურქდება, გეი ევროპელი გახდება, გარუსდება და ა.შ.

მეორე არის გაკულაკების შიში, რომელიც ასევე მწირია, მაგრამ დაკავშირებულია არა მარტო სომეხთა გენოციდის დაუძლეველ ტრავმასთან, არამედ საბჭოთა წარსულთან და პოსტსაბჭოთა „ძარცვასთან“. აქ აუცილებელია უკან დაბრუნება და რამდენიმე გარემოების აღნიშვნა.

პირველი: 90-იან წლებში, მიუხედავად ყველა სირთულისა, ადამიანებს ჰქონდათ საკუთრების შეგრძნება და თუ იბრძოდნენ, „მარადიულ მტერს“ კი არ ებრძოდნენ, არამედ თავიანთი უფლებებისთვის და, განსაკუთრებით, საკუთრებისთვის, შესაბამისად, იბრძოდნენ არა მითიური „სხვების“, არამედ მათი თანამემამულეების, მეზობელი აზერბაიჯანელების წინააღმდეგ, რომლებსაც ძალიან კარგად

იცნობდნენ. როგორც ანთროპოლოგი აღასი თადევოსიანი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, ყარაბაღში არ ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა ის საშუალო ფენა, რომელსაც რაღაც ექნებოდა დასაკარგი, ხოლო დაგროვილი სიმდიდრის მცირერიცხოვანი მფლობელები იმ ადგილებში არცკი ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, გაკულაკების, ქონების დაკარგვის შიში არის ერთ-ერთი ჩონჩხი, რომელიც საფუძვლად დაედო ლოზუნგს „ყარაბაღი ჩვენია“ (საკუთრების უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გენოციდის დროს გაკულაკებული სომხებისთვის, იმ სომხებისთვის, რომლებიც ვერ ეღირსნენ კომპენსაციას, და საკუთრების უარმყოფი საბჭოთა წესრიგის დაძლევისთვის), შესაბამისად, ყარაბაღის საკითხის ასეთი გადაწყვეტა კიდევ უფრო ამძაფრებს საკუთრების დაკარგვის ამ ფუნდამენტურ შიშს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: პირველი ომი განვითარდა ეგრეთ წოდებული ბოროტების იმპერიის, საბჭოთა კავშირის, დაშლისა და ახალი ლიბერალური დემოკრატიული სამყაროს ნაწილის გახდომის, სომხეთის მოსახლეობის დიდი მოლოდინის კონტექსტში.

მეორე ომი მიმდინარეობდა და ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, ის ახლაც გრძელდება, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს მშვიდობა ან სამშვიდობო ზავი, იმავე ბოროტების იმპერიის აღდგენის ფანატიკოსობამდე მისული რევანშის კონტექსტში და სომხეთი, რომელსაც არ გაუვლია დესაბჭოიზაცია, ლუსტრაცია და დეკომუნიზაცია, ფრანკენშტეინის პატარძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ეს დიქოტომია არსებობს ზემოდან ქვევით, როგორც ელიტაში, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეებში. ეს საყოველთაო დაყოფა უბრალო ხალხს ძლიერის მხარის დაკავებისკენ უბიძგებს და ამიტომ ადამიანებს ეშინიათ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილ „რუსულ დათვსაც კი ექნება საკმარისი ძალა იმისათვის, რომ „მოღალატე“ სომხები სასტიკად დასაჯოს, თუ ისინი გადავლენ პირობითი დასავლეთის მხარეზე, რადგან ადამიანების უმეტესობა „ცივი ომის“ ბიპოლარულობით მსჯელობს.

საზოგადო ინტელექტუალი მანველ სარგსიანი სომხებს „მფარველის მაძიებელ“ ხალხად მიიჩნევს, ანუ იდენტობის საფუძველში მათი უსაფრთხოების სისტემა ყოველთვის უფრო დიდი ძალაუფლების

ქოლგის ქვეშაა მოქცეული. ამ მტკიცების მართებულობას რომ თავი დავანებოთ, უნდა ითქვას, რომ სომხებში დიდ პრობლემებში ჩავარდნილი უფროსი ძმის შესაძლო დაცემა ამძაფრებს განადგურების ფუნდამენტურ შიშს, რაც ყველაზე საშინელია წარსულის კარადიდან გადმოცვენილ ჩონჩხებს შორის.

ერთ-ერთ ინტერვიუში მაშა გერსენი საუბრობს რუსების ცნობიერების დიქოტომიაზე, ფართოდ გავრცელებულ ერთგვარ ბიპოლარულობაზე, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ცნობიერებისთვის. მაგალითად, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, გულაგს ყველა ბოროტად მიიჩნევს, ადამიანური ურთიერთობების დონეზე სტალინის რეპრესიებმა თითქმის ყოველ მეორე ადამიანს დაუტოვა ადამიანური საქციელის ისტორია, მაგრამ პოლიტიკურ, უფრო „აბსტრაქტულ“ დონეზე, ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოწმობდნენ სტალინიზმის სისასტიკეს, მყისვე მებრძოლ სტალინისტებად გადაიქცევიან და „მტკიცე მუშტის“ დროს ეთაყვანებიან მას.

ჰომო-საბჭოთელისთვის დამახასიათებელი ცნობიერების ეს დიქოტომია სომხებისთვისაც არის დამახასიათებელი. დღეს ვისაც ელაპარაკები, ყველას მშვიდობა უნდა, ყველას ახსოვს ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს აზერბაიჯანელმა მეზობლებმა ან მეგობრებმა ვიღაცის ოჯახი, როგორ ცხოვრობდნენ ისინი მშვიდობიანად და ჰარმონიაში და ა.შ. მაგრამ მეორე წამს შეუძლიათ ას ოთხმოცი გრადუსით განსხვავებული მტკიცებულებების თქმა – „თურქი თურქად რჩება“, „როგორც კი რუსი წავა, თურქი მოვა და შეგვჭამს“.

ბიპოლარული აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ჩიხი – დილემა არის წინააღმდეგობა დემოკრატიასა და „უსაფრთხოებას“ შორის. თუ 90-იან წლებში ყარაბაღის თვითგამორკვევისთვის ეროვნული ბრძოლა და სომხეთის დემოკრატიზაცია პირდაპირ წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, ყოველ შემთხვევაში, ადამიანების უმეტესობის აზრით, დღეს „უსაფრთხოება“ ან „დემოკრატია“ ადამიანების უმრავლესობის თავში ურთიერთგამომრიცხავი აზრებია, განსაკუთრებით ავტორიტარული აზერბაიჯანის გამარჯვების შემდეგ, ძალიან ცოტა ხედავს დემოკრატიზაციას უსაფრთხოების განმტკიცების გარანტად.

ხალხს არ უგრძვნია დემოკრატიის სიამოვნება, გარდა ტანჯვის, ომების, ეკონომიკური და სოციალური კატასტროფებისა გამოცხადებულ დემოკრატიულ სომხეთში, ხალხს არ გაუხარია, მეტიც, ყველა არჩევნებზე გატეხეს, მოისყიდეს, ან სცემეს საარჩევნო უბნებზე. არჩევნების შემდგომი საპროტესტო ტალღა პოლიციის უხეში ძალის და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბანდის მიერ ერთობლივი ძალისხმევით იხშობოდა.

დემოკრატიის გაუფასურება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამონათქვამია ამჟამინდელ სომხეთში, სომხეთის მოსახლეობა ათწლეულების განმავლობაში იბრძოდა დემოკრატიის დამკვიდრებისთვის და ბოლოს, როცა ხმების დაბრუნება მოახერხეს, ისევ დაზარალდნენ. და აი, აზერბაიჯანმა, რომელსაც არასოდეს მოუკლავს თავი დემოკრატიისთვის, გამოიყენა შეუდარებელი სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა დემოკრატიული ქვეყნის დასაჩოქებლად და წარმატებასაც მიაღწია. ასე რომ, შესაძლოა, მართალია, რომ სამხედრო ძალის გარეშე დემოკრატია დაუცველი და უძლურია ჩვენს რეგიონში, სადაც აგრესიული ქცევა და ძალის ჩვენება უფრო მიღებულია, ვიდრე დიალოგი, სადაც უბრალო ადამიანს სჯერა, რომ „ყოველთვის სუსტია დამნაშავე ძლიერის წინაშე“, სადაც უბრალო ადამიანი დარწმუნებულია, რომ „მფარველის გარეშე ჩვენ დავიკარგებით“, ესე იგი, მთელი პოლიტიკური დისკურსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ან ჯუნგლებში ან მტაცებლებით სავსე ამღვრეულ წყლებში ჩვენნაირი პატარა თევზები ადვილად რომ არ გადაყლაპონ დიდებმა, ეკლიანები და შხამიანები უნდა იყვნენ, ან ყველაზე დიდის კუდზე მოკიდებულები უნდა ცურავდნენ და „დიპლომატია“ იქნება მხოლოდ საჭირო მომენტში ერთის კუდის გაშვება და მეორის კუდის დაჭერა. სამწუხაროდ, ამჟამად ეს არის არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეების საშუალო შეხედულებები, არამედ „ექსპერტთა“ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებები, რომელიც ყველა მედია საშუალებით შუქდება.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ წარსულს და ვთქვათ, რომ უბედურების მოლოდინი ჩვეულებრივი მდგომარეობაა. თავის მხრივ ქრისტიანობა დაგვპირდა დიად სამსჯავროს. სომხები ხომ ამაყობენ იმით, რომ მსოფლიოში პირველი ქრისტიანული სახელმწიფობრიობა აქვთ! მერე ყველანაირი ალარმისტი გამუდმებით იუწყება არა მხოლოდ მსოფლიოს დასასრულს, არამედ განსაკუთრებით სომხეთის დასასრულს („ერთი

სომხის დატოვება სურდათ და ისიც მუზეუმში“ – პარუირ სევაკი, „დაუდუმებელი სამრეკლო“). ასე რომ, სომხური წარმოდგენებით, უბედურების ნაკადი მოდის და არასდროს მიდის, პირიქით, ყოველთვის ჩვენთან რჩება. შედარებით უახლესი მაგალითია 1988 წლის 7 დეკემბრის კატასტროფული მიწისძვრა, რის შემდეგაც სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილს კატასტროფის ზონა ეწოდა და დღემდე სტიქია აქ არ დაძლეულა, არც ეკონომიკური, არც სოციალური და არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მეტიც – ტრავმა თაობიდან თაობას გადაეცა და 88 წლის შემდეგ დაბადებულებიც კი ამ უბედურების მატარებლები არიან. ისინი მოგიყვებიან ათასობით ისტორიას, ისე სარწმუნოდ და ზუსტად, იმდენად შემზარავად, რომ წამიერად მოგეჩვენებათ, თითქოს თვითმხილველს ესაუბრებით.

რა თქმა უნდა, ომი არ არის ბუნებრივი უბედურება, არც სტიქიური უბედურებაა, არამედ ადამიანის არჩევანის შედეგი, მაგრამ ომისა და მიწისძვრის ისტორიებში არის საერთო თემა, რომლის არშემჩნევა ძნელია: კატასტროფის გარდაუვალობა ან ფატალიზმი, რომელსაც ჩვენ ხანდახან სომხურ ბედს ვუწოდებთ. ამრიგად, ჩვენ ვიმყოფებით ზოგად სოციალურ-ფსიქოლოგიურ კონტექსტში, სადაც კატასტროფა ვრცელდება წარსულზე, გადაუჭრელი რჩება აწმყოში და იწვევს საკუთარ მოლოდინს მომავალში. ეს ეხება ყველა სტიქიას, როგორც ბუნებრივ, ასევე ადამიანის მიერ წარმოქმნილ უბედურებებს. სათავეში, ალბათ, გენოციდის მოუშუშებელი ტკივილია, რომელიც გადაიქცა უდიდეს ეროვნულ ფობიად, განადგურების შიშად, რომელიც განუყოფლად არის დაკავშირებული თურქთან, ამიტომ თურქოფობია სომხებისთვის ისეთივე ბუნებრივი და „გარდაუვალია“, როგორც სტიქიური უბედურებები, რომლებიც სომხების საზღაურია.

მაშასადამე, განადგურების შიში შერბილდა რკინის ფარდის არსებობით, შემდეგ დახურული სახმელეთო საზღვრის რეალობით, მაგრამ ყარაბაღის კონფლიქტმა თურქის იმიჯი აზერბაიჯანელთან გააიგივა და პირველი ომის „გამარჯვებამ“ შიშის დაძლევის ილუზია შექმნა. ახლა კი განადგურების შიში გადაეცემათ ყარაბაღის სომხებს, გარკვეული გაგებით, ისტორია მეორდება და რაც პირველი მსოფლიო ომის დროს ანატოლიის სომხებს დაემართათ, ახლა თითქმის იდენტური ნარატიული კონსტრუქციით მიაწერენ ყარაბაღელ სომხებს, როგორც ეთნიკური წმენდის გარდაუვალობას, რომელიც მჭიდრო

კავშირს ქმნის ყარაბაღელ სომხებსა და ტრადიციულ დიასპორას შორის, რადგან დიასპორელი სომხებისთვის, რომლებსაც გენოციდის ტრავმა არ დაუძლევიათ, ისტორია მეორდება და ყველა დარწმუნებულია, რომ ყარაბაღის სომხობა ერთ წამში განადგურდება, თუ არავინ იქნება მათი მხარდამჭერი.

ამიტომ განადგურდა ჯერ კიდევ ორიათასიანი წლების დასაწყისში გამოცხადებული სომხეთი-დიასპორა-არცახის „გამოგონილი“ სამება, არცახელი სომხების „დიასპორიზაცია“ ხელს უშლის სომხებს, აღიქვან ყარაბაღელი სომხები აზერბაიჯანის შემადგენლობაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობად. თუმცა, მსგავსი თემები ყველა მეზობელ ქვეყანაშია და მათი რიცხვი ხშირად აღემატება არცახის სომხებს, როგორც საქართველოში, ასევე ირანსა და თურქეთში. უნდა აღინიშნოს, რომ სომხები შეგუებულად ცხოვრობენ არა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ ბევრ ავტოკრატიაშიც, როგორიცაა, შორს რომ არ წავიდეთ, ირანი. ერდოღანის თურქეთი დემოკრატიის შუქურით არ ანათებს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სტამბოლის სომხებს ჰყავთ პატრიარქი და აქვთ ეკლესია, სკოლა, პრესა, ორგანიზაციები და გარკვეული პლურალიზმი მცირე ეთნორელიგიურ საზოგადოებაში, ჩართულნი არიან თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში – როგორც მმართველ, ისე ოპოზიციურ წრეებში.

შიში იმარჯვებს. უსაფრთხოება ეწინააღმდეგება დემოკრატიას და შიში კვლავ იმარჯვებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტმა დავით ისაჯანიანმა ზუსტად განსაზღვრა: „სომხეთის უსაფრთხოების კონცეფციას საფუძველად უდევს შიშის ევანგელიზმი“.

განადგურების შიში იმარჯვებს, ყველაზე შთანთქმადი შიში, რომელიც თითქმის ყველა სომეხშია, შიში, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, გარდაიქმნა, გავრცელდა და მოიცვა მთელი სომხობა, ის ნაწილიც კი, რომლის წინაპრებიც უშუალოდ არ ყოფილან გენოციდის მსხვერპლნი. სწორედ განადგურების შიში წარმართავს ისტორიის კარადიდან გადმოცვენილი ჩონჩხების ჯგუფს, სწორედ ამ შიშს აქვს კონკრეტული სახელი: *თურქოფობია.*

რკინის ფარდის ბოლო ნაწილი, სომხეთ-თურქეთის სახმელეთო საზღვარი, შეიძლება დაინგრეს ან, პირიქით, გაძლიერდეს. ძნელია

იმის პროგნოზირება, თუ როგორი იქნება ხვალინდელი სომხეთი და რეგიონი, მაგრამ სომხეთის მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი როლი შეასრულონ ამ მომავლის მშენებლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადალახავენ წარსულის კარადიდან გადმოცვენილი ჩონჩხების შემოტევას და არ დანებდებიან ყველაზე შთანთქვად ეროვნულ შიშებს, გადახედავენ მათ იდენტობას და ხელახლა ჩამოაყალიბებენ დემოკრატიული სომხეთის კონცეფციას, რომელიც განწირულია, აღარ იყოს რუსების მფარველობაში მყოფი იზოლირებული სომხური „სამოთხის გეტო“, არამედ, უნდა-არ უნდა, უნდა გაიხსნას იმისათვის, რათა გავიდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, მრავალშრიანი და რთული ჩიხიდან და გადალახოს „სხვისი“ იდენტობის კრიზისი, საბოლოოდ აქციოს იგი „საკუთრად“ და დაძლიოს ქსენოფობია.

არაპროგნოზირებადმა რეგიონულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიის გზაზე მდგარი სომხეთის კვლავ გზიდან გადახვევა, რაც უკვე მოხდა ერთხელ ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც ქვეყანაში ძალაუფლება მონოპოლიზებული იყო ყარაბაღის კლანის მიერ. ხავერდოვანი რევოლუცია იყო წარმატებული მცდელობა კლეპტოკრატიის დაშლისა და ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნების, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისა, რის შედეგადაც მას – მოქალაქეს, ხმის მიცემის უფლება დაუბრუნდა.

ომმა ბევრი ადამიანის ეროვნული მისწრაფებები და ოცნებები გაანადგურა, ხელცარიელი დატოვა, მაგრამ არ გააუქმა რევოლუციის მთავარი მიღწევა: მოქალაქის თავისუფლება. თუ ჩონჩხები მოახერხებენ სომხების საბოლოოდ გაგიჟებას, მაშინ ეს თავისუფლება ისევ გალიაში აღმოჩნდება, ხოლო თუ ეს იდენტობის კრიზისი დაიძლევა, სომხეთს მრავალეროვან დემოკრატიულ სახელმწიფოდ და ღია საზოგადოებად გადაქცევის ყველა შანსი ექნება.

არმენ ოჰანიანი *(დაბადებული 1979 წელს) არის მწერალი, პედაგოგი და არტისტი. ამჟამად არის სომხური PEN ცენტრის პრეზიდენტი. მის ტექსტებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისმა პოლიტიკურმა აქტიურობამ. იგი არის ANC სოციალ-ლიბერალური პარტიის (სომხური ეროვნული კონგრესის) ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი. როგორც მხატვარი, მუშაობს არა მხოლოდ ტექსტზე, არამედ ასევე იყენებს*

სხვადასხვა მედიუმს. მან ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა ფილოსოფიაში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი მუშაობდა სოფლის საჯარო სკოლაში მასწავლებლად. მას ასევე აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის 10 წლიანი გამოცდილება. ის არის HCA სომხეთისა და საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრის (სომხეთი) წევრი.

თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ აღნიშნული პუბლიკაცია ონლაინ სხვა ენებზე
You can find this publication online in other languages

ინგლისური ვერსია: / English version: https://www.freiheit.org/south-caucasus/armenia-and-georgia-security-challenges-or-challenges-security-2022

სომხური ვერსია: / Armenian version: https://www.freiheit.org/hy/south-caucasus/hayastan-vrastan-harevanowtyown-anvtangowtyan-martahraverner-te-martahraverner

ქართული ვერსია / Georgian version: https://www.freiheit.org/ka/south-caucasus/somkheti-da-sakartvelo-usaprtkhoebis-gamocvevebi-tu-gamocvevebi-usaprtkhoebistvis

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.

სამხრეთ კავკასია

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასია
ჭოველიძის ქ. 6, თბილისი, საქართველო
ფოსტა: maia.kobaidze@freiheit.org, armen.grigoryan@freiheit.org,

9 789939 115955

freiheit.org